ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ეთერ ხიმშიაშვილი

ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულები და მათი დაძლევის გზები დაწყებით საფეხურზე

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,

ასოც. პროფესორი - რომან აბაშიძე

ხიჭაური 2021

ანოტაცია

ეთერ ხიმშიაშვილის სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, დაწყებით საფეხურზე ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები და მათი დაძლევის გზები.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა განხილული წამოჭრილი პრობლემა - ტექსტის გაგება-გააზრების სირთულე და თანმიმდევრულადაა აღწერილი პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები და გამოყენებული მეთოდების ეფექტურობა.

ნაშრომს თან ახლავს კვლევა, რომლის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი და საგანი, ჩამოყალიბებულია ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა; ნაშრომში წარმოებული კვლევა, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად თვალსაჩინოა და მდიდარ მასალას აწვდის მოქმედ და მომავალ პედაგოგებს სასწავლო პროცესში შესაბამისი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ნაშრომი შედგება: შესავალი, II - თავის, კვლევის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

Annotation

Eter Khimshiashvili is the author of this Master's paper in which are suggested difficulties related to understanding and analysing of reading tasks and ways of overcoming them at the primary education stage.

In the paper mentioned above is discussed the leading problem – difficulty in understanding and analysing of texts and step by step there are described the strategies of solving this problem and effectiveness of the used methods.

This paper includes the research with defined aims and objectives. The value of the paper is certain and it is useful equally as on a practical level as theoretical one. It gives vast infromation to teachers working at school now and to ones going to become teachers in the future to solve appropriate questions successfully in the learning process.

This paper consists of the introduction, two chapters, the conducted research and bibliography.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი....6

თავი I....8

ტექსტის გაგება-გააზრების ძირითადი მახასიათებლები და მისი მნიშვნელობა სასწავლო აღმრზდელობით მუშაობის პროცესში. 8

ზეპირმეტყველება: 10

წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა: 10

ფონეტიკური ცოდნა/ ანბანის ცოდნა....10

ლექსიკური მარაგი/ სიტყვების ცოდნა....10

მთლიანი სიტყვების ამოცნობა: 11

გამართული კითხვა: 11

გაგება-გააზრება: 12

წინარე ცოდნის აქტივაცია....14

გრაფიკული მაორგანიზებლები 15

რა არის ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი დამწყები მკითხველისთვის? 18

რატომ არის მნიშვნელოვანი ფონოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობა? 19

რა არის დეკოდირება და რა როლი აქვს მას გაწაფულად კითხვაში? 19

თავი II....26

კვლევის ანგარიში 26

,, ტექსტის გაგება-გააზრების უნარების განვითარების ხელშეწყობა მე-6 კლასის მოსწავლეებთან“ 26

შესავალი / საკვლევი საკითხის აქტუალურობა 26

თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები 27

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები....27

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები....29

1.4 კვლევის მიზანი და ამოცანები....29

1.5 ძირითადი საკვლევი კითხვები-ქვეკითხვები 30

თავი II....31

ლიტერატურის მიმოხილვა....31

ლექსიკური მარაგი....36

რჩევები როგორ გავუმდიდროთ ბავშვს სიტყვათა მარაგი: 37
რჩევები ბავშვებს ახალი სიტყვების შესასწავლად.....38
მოსწავლის ფაქტორი.....40
მასწავლებლის ფაქტორი.....40
თავი III კვლევის დიზაინი 41
3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი 41
3.2 კვლევის მეთოდები 41
3.3 კვლევის გეგმა და ვადები.....42
თავი IV კვლევის შედეგები.....44
4.1 მონაცემთა ანალიზი 44
ფოკუსირებული დაკვირვება.....46
ფოკუსირებული დაკვირვების ოქმი 46
ფოკუს-ჯგუფის ანალიზი 47
ანკეტირების შედეგების ანალიზი.....52
მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი 53
თავი V ინტერვენციები 53
5.1 ქმედებების / ინტერვენციების დაგეგმვა 53
ინტერვენცია I - სამუშაო შეხვედრა კოლეგებთან 53
ინტერვენცია II - დიალოგი მოსწავლეებთან. 54
ინტერვენცია III - კითხვის საათი. 54
ინტერვენცია V - დაუსრულებელი მოთხრობა „სიკეთე ბოროტებისთვის“ 55
5.2 ინტერვენციების ანალიზი.....55
5.3 დასკვნა.....56
5.4 რეკომენდაციები.....57
დანართები 59
დანართი N1.....59
დანართი N2.....60
დანართი N3.....61
დანართი N4.....62
დანართი N5.....63

შესავალი

თემის აქტუალობა

,,უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა" - ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს წიგნისა და კითხვის, ცოდნის მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში. ბავშვებს კითხვას იმისთვის ვასწავლით, რომ მათ ცოდნის მიღება შეძლონ. საწყის ეტაპზე კითხვა ბავშვის მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ნელ-ნელა კი ის ავტომატურ პროცესად ყალიბდება. ადრეულ ასაკში კითხვის უნარის განვითარების შეფერხება, სიტყვის აღქმისა და გაშიფვრის სირთულე ბავშვს(ზოგიერთ შემთხვევაში) კითხვის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს, რის გამოც კითხვის ავტომატიზაციის პროცესი ფერხდება. განათლების სპეციალისტები თანხმდებიან, ბევრი მკვლევარი დარწმუნებულია, რომ სწორედ კითხვა და არა ზეპირი მეტყველება ახდენს ზეგავლენას ლექსიკურ სიმდიდრეზე. განმარტებით ლექსიკონს თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ ,,წიგნიერება" ეწოდება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდის ენის ეფექტურ გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში". თუ დავაკონკრეტებთ, წიგნიერება გააზრებულ კითხვასთან ერთად მოიცავს აქტიური მოსმენის, ზეპირმეტყველებისა და წერითი აზროვნების უნარებს და მაქსიმალურად განავითარებს ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი თუ ციფრული გზით მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარჩვევებს. საყოველთაოდ აღარებულია, რომ ადამიანს წიგნის სიყვარული თუ ბავშვობიდან მოჰყვება, ის არასოდეს გაწყვეტს კავშირს ლიტერატურასთან, თუმცა გარდა ამისა, წიგნის კითხვა არაერთ უმნიშვნელოვანეს უნარს ავითარებს. წიგნის რეგულარული კითხვა ადამიანის ტვინს არ აძლევს მოდუნების საშუალებას, რაც გვეხმარება ფაქტების კარგად დამახსოვრებაში. ასევე გვიჩნდება შედარებით მეტი სალაპარაკო თემა ჩვენთვის უცნობ ხალხთან და გვიმარტივდება კომუნიკაცია. წიგნის კითხვა ამდიდრებს ლექსიკას, რაც გვეხმარება, ნებისმიერ სიტუაციაში მშვიდად, კორექტულად შევძლოთ ჩვენი 4 სათქმელის გადმოცემა და რაც მთავარია, აზრი იყოს მკაფიო და ლოგიკური. მოზარდს წიგნიერება სხვადასხვა უნარს უვითარებს, ისეთ უნარებს როგორიცაა: ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულის გაგება-გააზრება, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, ინტერესი სხვადასხვა მეცნიერებისადმი და სხვა. წიგნიერება თავისთავად განაპირობებს ადამიანის თვალსაწიერის გაფართოებას და პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბებას . წიგნიერი მოსწავლეები გამოირჩევიან ემპათიის, პოზიტიური სოციალური ურთიერთობების უნარებით. წიგნიერება ეხმარება მათ მომავალში ყოფითი და აკადემიური პრობლემების მოგვარებაში. ის მოსწავლეები, რომლებიც თავიდანვე სწრაფად და ეფექტურად სწავლობენ კითხვას, მომდევნო წლებში უფრო მეტს კითხულობენ. დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ ასაკში ჯერ კითხვის უნარის

განვითარებას, შემდეგ ტექსტის გაგება-გააზრებას. საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წიგნიერების ცნების ხელახლა გააზრებისა და წერაკითხვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წიგნიერება, როგორც სასწავლო პროცესის დამოუკიდებელი ერთეული და სტრატეგიული მიზანი, ისე განიხილება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში იძენენ, ესაა კითხვის უნარი. კითხვის უნარი ხელს უწყობს სააზროვნო პროცესის განვითარებას. კითხვის უნარების განვითარება უშუალო კავშირშია პიროვნულ განვითარებასთან. წერა კითხვის ცოდნა საკმარისი არაა, ესაა ცოდნის შეძენის, გააზრებისა და გამოყენების ერთობლიობა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს ტექსტის გააზრება. გაიგოს, გაიაზროს ტექსტში მოცემული ინფორმაცია და გამოიტანოს დასკვნები, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ჩასწვდეს ტექსტის დედააზრს. მხოლოდ ამ უნარების ფლობა დაეხმარება მოსწავლეს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა. წაკითხული ტექსტების გააზრება სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებულად წარმართვის მთავარი ასპექტია,ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ,რომ ადამიანმა სკოლის ასაკიდან ისწავლოს გააზრებული კითხვა.კითხვის სწავლება არის დაწყებითი სკოლის უმნიშვნელოვანესი მისია.

სწორედ კითხვის სწავლებაზეა დამოკიდებული წიგნიერი ადამიანის ჩამოყალიბება. კითხვის უნარი წარმოადგენს პიროვნების ინდივიდუალური, ინტელექტუალური განვითარების საფუძველს. ამ ყველაზე მნიშვნელოვან უნარს მოსწავლე იძენს სკოლაში სწავლების ადრეულ წლებში და წარმოადგენს ყველა სხვა საგნის სწავლის საფუძველს. სწავლის ნებისმიერ საფეხურზე გამოირჩევიან ის შემსწავლელები, რომელთაც დაწყებით საფეხურზე სათანადოდ განუვითარდათ წერისა და კითხვის უნარები, უმნისვნელოვანესია, ამავე,ასაკიან მაღალ დონის სააზროვნო უნარების ჩამოყალიბება.

არსებულმა გარემოებამ განაპირობა ჩემი ინტერესი აღნიშნული პრობლე-მისადმი. არსებულ ინტერესს თან ერთვოდა ჩემი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გუმბათის საჯარო სკოლაში და როგორც პედაგოგის ცნობისმოყვარეობაც, თუ რა შეიძლება ყოფილიყო პრობლემის გამომწვევი მიზეზები და შემეძლო თუ არა მე ამ მიმართულებით მისი გადაჭრა ლოკალურ სივრცეში.

გავეცანი კვლევებს, გავაანალიზე ჩემს მოსწავლეებთან ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაბამისად განვსაზღვრე ჩემი კვლევის საგანიც: გამოვიკვლიო დაწყებითი განათლების საფეხურზე მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე წინა პლანზე გამოვყო ყველაზე უფრო შემაფერხებელი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრა უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირე-ბული სირთულების ჩვენება დაწყებით კლასებში და მათი დძლევის გზების ძიება.

საკვლევი თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ვაჩვენოთ ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლები;
- ვაჩვენოთ მათი მნიშვნელობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების მისაღწევად;
- დავადგინოთ და გამოვიკვლიოთ დაწყებით კლასებში ის პრობლემები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების პროცესზე;
- პრობლემების გამომწვევი მიზეზებისდადგენის საფუძველზე შევიმუშაოთ რელევანტური სტრატეგიები და რეკომენდაციები მათ დასაძლევად.

სამაგისტრო ნაშრომის თემაზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები:

ა) პედაგოგიური ლიტერატურის შესწავლის მეთოდი;

ბ) პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის მეთოდი;

გ) მონაცემთა შედარებითი ანალიზი;

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომს აქვს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც. ნაშრომი დახმარებას გაუწევს ამჟამად მომუშავე და მომავალ პედაგოგებს ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში და პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფაში.

თავი I

ტექსტის გაგება-გააზრების ძირითადი მახასიათებლები და მისი მნიშვნელობა სასწავლო აღმრზდელობით მუშაობის პროცესში

მნიშვნელოვანია, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეს განუვითაროთ ის უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს შუწყობს მოსწავლის ეფექტურ მკითხველად ჩამოყალიბებას.

ეფექტური მკითხველი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. კითხულობს გამართულად, გაბმულად, შეცდომების გარეშე. გამართული კითხვა არის ფუნდამენტი ტექსტის გაგების.

2. შეუძლია წინარე ცოდნის გამოყენება, რათა დეტალურად გაიაზროს ტექსტი.

3. შეუძლია ტექსტის ვიზუალიზება, თავის გონებაში ქმნის წარმოსახვით სურათს, მიმართავს ფანტაზიას, აცოცხლებს მოქმედებებს.

4. გამოთქვამს ვარაუდებს წასაკითხი შინაარსის შესახებ. აქვს მოლოდინები ტექსტთან დაკავშირებით.

5. მიჯნავს ერთმანეთისგან მთავარსა და მეორეხარისხოვან ინფორმაციას.

6. ტექსტის ნაწილებს აკავშირებს ერთმანეთთან.

7. კითხვის პროცესში აკვირდება ავტორის შეხედულებებს.

8. აკვირდება და მონიტორინგს უწევს აზროვნების პროცესს.

(კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010)

ეფექტური მკითხველის ჩამოყალიბების პროცესი ორი გზით მიმდინარეობს:

1. მასწავლებელი თავად უჩვენებს მოდელს და მოსწავლეები აკვირდებიან მას.

2. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს მრავალფეროვან საშინაო დავალებას, მოსწავლეები კი ინდივიდუალურად მუშაობენ და ასრულებენ წერით დავალებებს.

კითხვის უნარის ჩამოყალიბება რამდენიმე ასპექტს მოიცავს:

- ზეპირი მეტყველება
- წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა
- ფონეტიკური ცოდნა/ანბანის ცოდნა
- ლექსიკური მარაგი/ სიტყვების ცოდნა
- მთლიანი სიტყვების ამოცნობა
- გამართული კითხვა
- გაგება/გააზრება /მნიშვნელობის კონსტრურირება.

მოსწავლეები ამ ეტაპებს ეტაპობრივად გადიან, თუმცა ყველაზე ადრე ტექსტის მახასიათებლების ბავშვები 2-6 წლის ასაკში სწავლობენ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ზეპირმეტყველება:

კითხვის ერთ-ერთი საფუძველი ზეპირმეტყველებაა. დაწყებით საფეხურზე კი მასწავლებლები მრავალფეროვანი ხერხებით უწყობენ ხელს მოსწავლეთა ზეპირმეტყველების განვითარებას.

წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა:

წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა მკითხველისთვის აუცილებელია, რადგან დამწყებ მკითხველს თანდათან უნდა ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა წიგნის დანიშნულების, აგებულების შესახებ. კერძოდ, უნდა გაარჩიოს წიგნის ყდა, სათაური, დაწერილობის მიმართულება, სასვენი ნიშნები, ტექსტის დასაწყისი და დასასრული.

ფონეტიკური ცოდნა/ ანბანის ცოდნა

ამგვარი ცოდნა გულისხმობს ასოებსა და ბგერებს, ფონემებსა და გრაფემებს შორის მიმართების ცოდნას. როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა ,,ასოებით სწავლის დაწყება არაა რეკომენდებული, რადგან მოსწავლე მასში აზრს ვერ ხედავს და სწავლის ხალისი უქრება. მისივე რჩევით, უმჯობესია ასოების სწავლა დავიწყოთ სიტყვებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მოსწავლე ჯერ სიტყვას წარმოიდგენს, დაუკავშირებს თავის გამოცდილებას და მისთვის აზრი მიეცემა სწავლის პროცესს. “

თუ დავუკვირდებით იაკობ გოგოებაშვილის ნააზრევს ამ საკითხთან დაკავშირებით, მივხვდებით, რომ იგი ემყარება სწავლების ჰოლისტურ მეთოდს, კერძოდ, ბავშვი ჯერ ეჩვევა ტექსტს, სიტყვას და დიდი სიტყვებიდან გადადის მარცვლებზე, მარცვლებიდან ასო-ბგერებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ფონეტიკის სწავლება გავაერთიანოთ მთლიან ტექსტებზე მუშაობასთან. მას უნდა ესმოდეს იმ სიტყვის შინაარსი, რასაც კითხულობს. ამიტომ წასაკითხი სიტყვები მოსწავლეთა სამეტყველო ენის შემადგენელი უნდა იყოს.

ლექსიკური მარაგი/ სიტყვების ცოდნა

გაგება-გააზრებასა და ლექსიკურ მარაგს შორის არსებობს კვლევებით დადასტურებული მჭიდრო კავშირი. ტექსტის გასაგებად მკითველმა მასში გამოყენებული სიტყვები უნდა გაიგოს და არათუ გაიგოს მხოლოდ, არამედ ლოგიკურადაც უნდა დააკავშიროს. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ადამიანებს გააცნიათ ლექსიკური მარაგის ორი ტიპი: აქტიური და პასიური ლექსიკა. აქტიური ის

სიტყვებია, რომლებსაც იგი ლაპარაკის დროს იყენებს. პასიურს კი ის იგებს კითხვისას, მოსმენისას, მაგრამ არ გამოიყენებს ლაპარაკის დროს. ლექსიკური მარაგის გამდიდრება კი რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი: მოსწავლეებს უნდა ვესაუბროთ სინონიმების მოშველიებით, წავუკითხოთ ხმამაღლა, ტესტები, რომლებიც ორიენტირებულია ლექსიკის შემოწმებაზე და ა. შ

მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. უაქტიურებდეს ნაცნობ ლექსიკას და აწვდიდეს ახალ ლექსიკურ ერთეულებს. კერძოდ, უცხო სიტყვებთან მუშაობისას აპრობირებულია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა: მნიშვნელოვანი სიტყვები, სიტყვის გამომძიებლები.

მთლიანი სიტყვების ამოცნობა:

სიტყვების ამოცნობა გუისხმობს ფონეტიკურ ცოდნას, ვიზუალური სურათის გახსენებას, კონფიგურაციის ცოდნას... სიტყვების ამოსაცნობად მკითხველები იყენებენ შემდეგ სტრატეგიებს:

❖ უკვე ნანახი სიტყვების იდენტიფიცირება, რომლებიც ადრეულ ტექსტებში ხშირად გვხდება.

❖ სიტყვის ფორმის მიხედვით ამოცნობა. თუმცა ეს მეთოდი საკმარისი არ არის, რადგან ბევრი სიტყვა ფორმით ჰგავს ერთმანეთს.

❖ სიტყვის აგებულების ამოცნობა-თავსართ-ბოლოსართი, ფუძე.

❖ კონტექსტური გასაღებები-კარგი მკითხველები აკვირდებიან აბზაცებს, შინაარსს, გარემომცველ სიტყვებს, რათა უკეთ ასე ამოიცნონ უცნობის სიტყვების მნიშვნელობა.

გამართული კითხვა:

კითხვა გამართულია, თუ მკითველი კითხულობს უშეცდომოდ და სწრაფად. ჩუმად კითხვის დროს მკითხველი ავტომატურად ამოიცნობს სიტყვებს, ცალკეული დეკოდირების გარეშე და იმგვარად აჯგუფებს მათ, რომ ტექსტის შინაარსს ადვილად იგებს. გამართულ მკითხველი კითხულობს ძალისხმევის გარეშე, გამომეტყველებით, ინტონაციით. დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ გამართული კითხვა არის უმთავრესი იარაღი ტექსტის გაგება-გააზრებისთვის. მოსწავლეები, რომლებიც

გამართულად ვერ კითულობენ, ბევრი პრობლემის წინაშე დგებიან, მიუხედავად მათი გონებრივი სისხარტისა და გახსნილობისა. შესაბამისად, ჩვენი, მასწავლებლების უმთავრესი ამოცანა სწორედ ესაა-ვაქციოთ მოსწავლეები გამართულ მკითველებად.

გაგება-გააზრება:

ეს გახლავთ კითხვის ბოლო და ყველაზე მაღალი საფეხური.

გაგება-გააზრება კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე კომპონენტია. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, ცოდნა, გაგება, გამოყენება დაბალი დონის სააზროვნო უნარებია. იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, ჯერ უნდა განუვითარდეს ცოდნა, გაგება, გამოყენების უნარები.

გაგება-გააზრებაზე 4 ფაქტორი მოქმედებს, ესენია: მკითხველი, ტექსტი, მიზანი, სიტუაციური კონტექსტი.

(კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VIკლასები, 2015:212)

არსებობს გაგება-გააზრების სხვადასხვა დონე: სიტყვასიტყვითი (საბაზისო დონეა სიტყვასიტყვით აზრის გაგება, ამ დონეზე მკითხველს შეუძლია ტექსტიდან ფაქტობრივიინფორმაციის ამოღება: სად ხდება მოქმედება, რა ჰქვია მთავარ გმირს, რა პროფესიისა და ა.შ)

ანალიტიკური (ამ დონეზე მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტში მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გამოტანა: შეუძლია პერსონაჟის დახასიათება და მოქმედების განვითარების წინასწარმეტყველება).

შეფასებითი, კრიტიკული. (მკითხველს შეუძლია არა მარტო წაკითხულის გააზრება, არამედ-შეფასებაც.)

მკითხველი იაზრებს როგორც ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც ტექსტშია მოცემული, ისე -დაფარულს. როდესაც ბავშვი მუშაობს, მის გონებაში აქტიურდება რამდენიმე პროცესორი: ანბანური, ფონოლოგიური, სემანტიკური, სინტაქსური და

კონტექსტური. ეს ყველაფერი ერთობლივად უნდა მუშაობდეს და რომელიმე მათგანი არ უნდა შეფერხდეს, რომ არ გამოიწვიოს გაგების პროცესის შენელება.

(კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VIკლასები, 2015:133)

როდესაც მოსწავლე კიხთულობს ტექსტს და ვერ იგებს მის შინაარს, აქ საქმე გვაქვს უშედეგო კითხვის პროცესთან. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე კითხვის დროს თან იაზრებდეს წაკითხულს და არა მარტო იაზრებდეს, მონიტორინგასაც უწევდეს საკუთარ გაგება-ათვისებას.

ასეთი პრობლემების არსებობისას უნდა მივმართოთ შემდეგ ხერხებს:

- წინასწარ ვარაუდების გამოთქმა,
- შეკითხვების დასმა,
- წინარე ცოდნის გააქტიურება,
- ტექსტის ნაწილებად დაყოფა,
- კავშირების დამყარება,
- ერთობლივი კითხვა,
- ორიენტირებული კითხვა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ შევარჩიოთ ისეთი საკითხავი ტექსტი, რომელიც არ იქნება რთულად დასაძლევი მოსწავლეებისთვის, მოსაწყენი და უინტერესო. აგრეთვე, ტექსტი უნდა შევარჩიოთ მიზნობრივად და მოსწავლეებსაც გავაცნოთ ტექსტის კითხვის მიზანი-რა უნდა ეძებოს მან ტექსტში და რაში გამოიყენებს წაკითხულ ტექსტს.

რაიმეს დასასწავლად ან ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, რომ მკითხველს ჰქონდეს უნარი, გააზრებულად წაიკითოს ტექსტი,

და დაიმახასოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული უნარი მაღალ კლასში გადასვლისას უფროდაუფრო საჭირო და აუცილებელი ხდება. კარგი მკითხველი კითხვის პროცესში მუდმივად აკეთებს თვითმონიტორინგს და იაზრებს წაკითხულს, აკვირდება თავის თავს. მისთვის წაკითხულის გაგება პრობლემას არ წარმოადგენს. (ი. სამსონია - წიგნიერება, თბილისი, 2013)

კარგი მკითხველი	ჩამორჩენილი მკითხველი
• აკვირდება საკუთარი კითხვის პროცესს, განვითარებული აქვს მეტაკოგნიტური უნარები. • განიხილავს ტექსტს როგორც ავტორის, ისე საკუთარი პოზიციიდან, კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ ამყარებს ინტერაქციას ტექსტთან. • აკავშირებს ტექსტში ამოკითხულს წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან. • ფლობს და იყენებს განსხვავებულ, მრავალფეროვან და ეფექტურ სტრატეგიებს კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და მისი დასრულების შემდეგ. • იცის, რა მიზნით კითხულობს ტექსტს და იყენებს შესაბამის სტრატეგიებს	• კითხვის დროს ვერ ახერხებს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას. • შესაძლებელია ვერ დააფიქსიროს ის ადგილები ტექსტში, რომლებიც ვერ გაიგო. • კითხვის პროცესში არ უსვამს კითხვებს საკუთარ თავს და არ ამყარებს ინტერაქციას ტექსტთან. • ხშირად არ გააჩნია საკმარისი წინარე ცოდნა იმისათვის, რომ გაიგოს წაკითხული. • ნაკლებად ან საერთოდ არ ფლობს კითხვის სტრატეგიებს; ან ვერ არჩევს სათანადო სტრატეგიებს. • კარგად არ იცის, რა მიზნით კითხულობს ტექსტს. • არ სიამოვნებს კითხვის პროცესი, ვერ აცნობიერებს, რაში სჭირდება ან რატომ არის სასარგებლო კითხვა.

წაკითხულის გააზრების გამარტივების მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ მისცეს მოსწავლეებს ტექსტი და მათ მიეცეთ საშუალება თვალის გადავლების, მახასიათებლებზე დაკვირვების (აბზაცი, ტექსტის სიგრძე, სტრუქტურა, ილუსტრაცია)

წინარე ცოდნის აქტივაცია

წაკითულის გააზრებას აადვილებს მასწავლებლის მიერ წინარე ცოდნის აქტივაცია. ხდება არსებული ცოდნის გააქტიურება და ახალთან დაკავშირება. კერძოდ, ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები დაუკვირდნენ სათაურს, გამოთქვან ვარაუდები წასაკითხი ტექსტის შინაარსის შესახებ, ხოლო წაკითხვის

შემდგომ კვლავ მიუბრუნდნენ თავიან ვარაუდებს და გააანალიზონ, რამდენად სწორი ან არასწორი მოლოდინი ჰქონდათ.

გრაფიკული მაორგანიზებლები

წაკითხულის გააზრებას აადვილებს აგრეთვე გრაფიკული მაორგანიზებლები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ცხრილების, დიაგრამების, პერსონაჟის რუკის, კლასტერის, ობობას ქსელის საშუალებით დაიმახსოვროს მნიშვნელოვანი დეტალები.

გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება შესაძლებელია როგორც კითხვის დაწყებამდე, ისე კითხვის დროს და კითხვის შემდეგ.

<u>კითხვის წინა ეტაპი</u> - მოსწავლეები უნდა მოემზადონ ტექსტის წასაკითხად, გაიაქტიურონ წინარე ცოდნა, გამოთქვან ვარაუდები წასაკითხი ტექსტის რგვლივ. წინარე ცოდნის გახსენება მათ დაეხმარება შემდგომში ტექსტის გაგება-გააზრებაში.

<u>კითხვის დროს</u> - გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის კითხვის პროცესშიც, რადგან მოსწავლეები სქემების, ცხრილების საშუალებით უკეთ დაინახავენ კავშირებს ტექსტში გამოცემულ ფაქტებს, მოვლენებს შორის. აღმოაჩენენ და დაიმახსოვრებენ მნიშვნელოვან დეტალებს წაკითხული ტექსტიდან.

<u>კითხვის შემდეგ</u> - წაკითხული ტექსტის შემდეგ გრაფიკული მაორგანიზებლები ინფორმაციის შეჯამებისთვის გამოიყენება. მოსწავლეები ახერხებენ ინფორმაციის კლასიფიცირებას და მის დაკავშირებას რეალობასთან. აგრეთვე, ახერხებენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას.

როგორც წიგნში, სწავლების ეფექტური მეთოდები, (ვკითხულობთ, არალინ-გვისტური მეთოდებიდან გრაფიკული პარადიგმების გამოყენება ყველაზე გავრცე-ლებული მეთოდია. გრაფიკული სქემა წარმოსახვის ორივე ფორმას მოიცავს, ლინ-გვისტურსაც და არალინგვისტურსაც. ლინგვისტურია სიტყვები, ფრაზები, არალინ-გვისტური კი - სიმბოლოები, ისრები.

განვიხილავ 6 გრაფიკულ სქემას, რომელიც კითხვის გაგება-გააზრების პროცესში ერთ-ერთი დამხმარე საშუალებად შეიძლება გამოვიყენოთ საგაკვეთილო პროცესში.

1. აღწერითი პარადიგმა: შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანების, მოვლენების, საგნების შესახებ ფაქტების წარმოსადგენად. აუცილებელი არაა რაიმე თანმიმ-დევრობის დაცვა.

2. დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა: შესაძლებელია გამოვიყენოთ ქრონო-ლოგიის დროს, დროითი თანმიმდევრობით მოვლენების დასალაგებლად.

3. მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმა: გულისხმობს ინფორმაციის დალაგებას კაუზიტიურ ქსელში, რომელსაც რომელიმე კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ და აგრეთვე, მოქმედებების ერთობლიობაში, რომელიც სრულდება კონკრეტული შედეგით.

4. ეპიზოდის პარადიგმა: საშუალებას გვაძლევს გარკვეულ სისტემაში მოვიყვანოთ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: მოვლენის დრო და ადგილი, მოვლენის მიზეზი და შედეგი, კონკრეტული ადამიანები და მოვლენათა თანმიმდევრობა.

5. განზოგადების, პრინციპის პარადიგმა: გვეხმარება ინფორმაცია ზოგად წინადადებებად და მათთან დაკავშირებულ მაგალითებად დავალაგოთ.

6. ცნების პარადიგმა: გრაფიკული სქემის ყველაზე ზოგადი ფორმაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციის თავმოყრა ისეთი სიტყვის, ფრაზის ირგვლივ, რომელიც რომელიმე კატეგორიას წარმოადგენს - ადამიანების, ადგილების, საგნების.

(ჯ. მარზანო, დ. ჯ ფიქერინგი, ჯ. ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში - 2009:9-10)

დაწყებით საფეხურის შემთხვევაში მასწავლებელმა გაგება-გააზრების მეთოდები სწორად და ადეკვატურად უნდა შეარჩიოს, რადგან პირველკლასელს უჭირს გაწაფული კითხვა, თუმცა, აზროვნებს, განვითარებული აქვს წარმოსახვა, ფიქრობს და იაზრებს. ჩვენი, მასწავლებლების ამოცანაა, განვუვითაროთ მოსწავლეებს გაგება - გააზრების უნარის განვითარების გზით კითხვის ყველა კომპონენტი: წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლება, ლექსიკური მარაგი, გაწაფული კითხვა.

ტექსტზე მუშაობის ყველაზე გავრცელებული დავალებაა „შინაარსზე ორიენ-ტირებულ ‘’ კითხვებზე პასუხის გაცემა. მაგალითად: ვინ მივიდა სკოლაში, რა ჰქვია

ბიჭის ძაღლს...და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტიპის კითხვებით მას არ უვითარდება კითხვის უნარ-ჩვევა, რადგან მკითხველმა იცის, რა სახის პასუხის გაცემას ითხოვენ მისგან.

(თ. კიღურაძე, ე. ქუთათელაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2013:11-15)

ალტერნატიული მეთოდი კი ითვალისწინებს ისეთი შეკითხვების დასმას, როგორიცაა:

- ვინ არის ტექსტის ავტორი
- რა საკითხს ეკითხება ტექსტი
- ვისზეა საუბარი
- რა არის ძირითადი არგუმენტი, დასკვნა
- როგორ მიდის ავტორი დასკვნამდე
- რატომ დგას ავტორი ამ აზრზე
- რა არგუმენტებით ასაბუთებს ავტორი თავის აზრს

ტექსტის დამუშავება შეიძლება დაიყოს ტექსტის ვიზუალური მხარეზე დაკვირვებითაც. აბზაცებათ დანაწევრებული ტექსტი უფრო ადვილი აღსაქმელია, ვიდრე ერთ მთლიანობაში წარმოდგენილი, ტექსტის გაგება-გააზრების გაადვილების მიზნით, ეფექტურია შემდეგი მეთოდების გამოყენება.

- წინასწარ შემუშავებული ტექსტის „განსატვირთი დავალებები“, რომლებიც მათ უნდა შევთავაზოთ ტექსტის წაკითვამდე (მისი დანიშნულება შეიძლება იყოს მკითხველში მოტივაციის აღძვრა.
- ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა (ამ დროს უმჯობესია არა ლექსიკონით განმარტება, არამედ კონტექსტზე დაკვირვება და მკითხველის მიერ მიგნება-გააზრება.)
- კონტექსტზე დაკვირვება და წინარე ცოდნა ძალიან დიდ როლს თამაშობს წაკითხულის გააზრებაში.
- მნიშვნელოვანი დეტალია მსხვილი შრიფტიც, რომელიც წაკითხულის ადვილად აღქმასა და გააზრებაში გვეხმარება.

(თ. კიღურაძე, ე.ქუთათელაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2013:4-5)

ამერიკელი განათლების მკლევარის დევიდ პერკინსის აზრით, ,,სკოლებისა და განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება,მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტუალური გამოყენება.“ ასევე აღნიშნავს, რომ გააზრებულად უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს, რათა შეძენილი ცოდნა სხვადასხვა სიტუაციებში და ცხოვრებაში გამოიყენონ.

დაწყებით საფეხურიდან უნდა შევაჩვიოთ მოსწავლეები ფიქრს, აზროვნებას, და არა დაზეპირებას. დევიდ პერკინსი სწორედ ამას აღნიშნავს: ,,ცოდნას ბავშვები მაშინ იღებენ, როცა სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნის არსზე ფიქრობენ“ ამიტომ ცოდნაზე კი არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული, თუ როგორ გაიზუთხა ლექსი და შეუჩერებლივ გადმოგვცა, არამედ აზროვნებასა და ფიქრზე, თუ რაა ამ ლექსის მთავარი სათქმელი, რისი თქმა სურს ავტორს და ა.შ.

რა არის ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი დამწყები მკითხველისთვის?

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები კითხვის ერთ-ერთი საფუძველია. ამ უნარების მქონე ბავშვს შეუძლია ბგერებითა და ზეპირი სიტყვებით მანიპულირება, ბგერებითა და სიტყვებით თამაში.

ძირითადად იგულისხმება ბგერების ამოცნობა, ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, ასევე ბგერებისა და მარცვლების გადაბმა-გამთლიანება.

ადრეულ ასაკში ბავშვები ვერ ახერხებენ ზეპირად წარმოთქმული სიტყვების ერთმანეთისგან გამოყოფას, რადგან მათთვის საუბარი ბგერათა უწყვეტ ნაკადად აღიქმება; საჭიროა, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ უნარი, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ წინადადებაში სიტყვების, სიტყვებში მარცვლებისა და ბგერების, მარცვლებში ბგერების გამოცალკევებას, აგრეთვე ცალკეული ბგერებისა და მარცვლებისაგან სიტყვების შედგენას. ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ადვილად ეუფლებიან ასო-ბგერებს. ამიტომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობას დეკოდირების უნარის განვითარებისა და ორთოგრაფიის ათვისებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რატომ არის მნიშვნელოვანი ფონოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობა?

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და ასოების ცოდნა ორი უმთავრესი წინაპირობაა კითხვის უნარის დაუფლებაში წარმატების მისაღწევად. კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვებს შორის ხშირად გვხვდებიან სწორედ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებში გაუწაფავი ბავშვები. ბგერების ცოდნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის სიტყვების დეკოდირებისა და წერის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. გარდა ამისა, ენის ბგერითი სისტემის გაცნობიერება ეხმარება ბავშვს სიტყვების დაუფლებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

ფონოლოგიურ უნარებს ხშირად ურევენ ასო-ბგერების ცოდნაში, რომელიც გულისხმობს ასოებსა და ბგერებს შორის მიმართების ცოდნას. ამ ცოდნის გამოყენებით დამწყები მკითხველები ხვდებიან, როგორ წარმოთქვან სიტყვები დეკოდირებისას და როგორ დაწერონ ასოები და სიტყვები.

ხოლო ფონოლოგიური უნარები სმენითი, სამეტყველო ბგერების გამოყენებასთან დაკავშირებული უნარებია. არ არის აუცილებელი, მოსწავლემ იცოდეს ანბანი იმისთვის, რომ განივითაროს

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

რა არის დეკოდირება და რა როლი აქვს მას გაწაფულად კითხვაში?

სიტყვების სწორად და სწრაფად დეკოდირება კითხვის სწავლება-სწავლის საკვანძო მიზანია. ესაა დაწერილი სიტყვის, როგორც ცალკეული ასოებისგან შედგენილი ერთი მთლიანი კოდის, გაშიფვრა. სიტყვის დეკოდირებას ზოგჯერ სიტყვის ცნობას ან იდენტიფიცირებას უწოდებენ.

თუ გაწაფულ კითხვას დავაკვირდებით, აუცილებლად აღმოვაჩენთ, რომ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მახასიათებელი სიტყვების სწრაფად, უშეცდომოდ, დანაწევრების გარეშე წაკითხვაა.

კითხვის უნარის (იგულისხმება კითხვის ტექნიკაც და გაგება-გააზრებაც) განვითარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა, როცა ბავშვი კითხვის დროს აღარ იყენებს ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ დეკოდირებას. ამის ნაცვლად იგი ავტომატურად ცნობს სიტყვებს. კითხვის პროცესში სიტყვების მთლიანად,

ავტომატურად ცნობა გაწაფული კითხვის მთავარი საყრდენიცაა და ინდიკატორიც. თუ სიტყვების უმრავლესობას პირველი დანახვისთანავე ვერ ვცნობთ, მათ გაშიფვრაზე (ნაწილ-ნაწილ დეკოდირებაზე) გადავდივართ, რაც ყურადღების კონცენტრაციას და სხვადასხვა უნარის მიზნობრივად მოშველიებას მოითხოვს. ამის შედეგად ტექსტის გააზრებაზე დასახარჯი ენერგია კითხვის ტექნიკური ბარიერების დაძლევაზე გვეხარჯება. თუ საქმე მოზრდილ და/ან რთულ ტექსტთან გვაქვს, პროცესი კიდევ უფრო მძიმდება. ჩვენ მალე ვიღლებით და ფრუსტრაცია გვეუფლება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კითხვის სწავლის გარკვეულ ფაზაზე სიტყვების მთლიანად წაკითხვაზე გადავიდეთ. კვლევების მიხედვით, თუ ბავშვი ცნობს სიტყვების უმრავლესობას წინადადებაში, მას უადვილდება ამ წინადადების თავიდან ბოლომდე წაკითხვა; დანარჩენს, ანუ უცნობ სიტყვებს, ის დეკოდირების, კონტექსტის, ილუსტრაციებისა და ფონეტიკური გასაღებების დახმარებით უმკლავდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვს ძალუძს ასეთი წინადადების გაგება-გააზრება.

ჩემი ნაშრომისთვის გამოვიყენე ნათია ჭუმბურიძის სტატია, რომელიც ძალიან საინტერესოა.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ყველაზე მარტივია ტექსტში მოცემული ზედაპირული ინფორმაციის გაგება. რაც შეეხება ტექსტიდან გამომდინარე დასკვნებს, მსჯელობას, შეფასებას, ჟანრის გაგებასა და, ზოგადად, ტექსტის გააზრებას, ამ მხრივ, პრობლემები გამოიკვეთა.

კვლევები ადასტურებს იმასაც, რომ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წიგნიერი უნარ-ჩვევების ფლობა. წიგნიერი უნარ-ჩვევების მფლობელი მოსწავლეები სწრაფად და ხარისხიანად სწავლობენ არა მხოლოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, არამედ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებს. წიგნიერი მოსწავლეები გამოირჩევიან ემპათიის, პოზიტიური სოციალური ურთიერთობების და თანამშრომლობის უნარებით. მოსწავლეებს, რომელთაც მეოთხე კლასამდე სათანადოდ არ

განუვითარდათ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება მომდევნო კლასებში.

გაგება-გააზრების უნარის განვითარების პროცესი არ არის ადვილად და თავისთავად განვითარებადი. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. გააზრების უნარ-ჩვევებს/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება.

სტრატეგია	**სტრატეგიის აღწერა**	**შეკითხვის მაგალითები**
წინარე ცოდნის გააქტიურება	მკითხველი გაიხსენებს და გააააქტიურებს, ტექსტის საკვანძო თემაზე, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, დააკავშირებს წინარე ცოდნას კითხვის მიზანთან ან დავალებასთან.	რა ვიცი ამის შესახებ? სად რა წამიკითხავს ან მინახავს?
ვარაუდების გამოთქმა	მოსწავლე კონტექსტის გამოყენებით წარმოიდგენს მოსალოდნელ მოვლენებს. წინასწარ განჭვრეტს, თუ რა მიმართულებით განავითარებს ავტორი ამბის მსვლელობას ან საკითხის განხილვას.	რა მოხდება შემდეგ? რას იტყვის ავტორი ამის შემდეგ?
კავშირების დამ-ყარება/პარალე ლების გავლება	მკითხველი ამყარებს სამი ტიპს კავშირებს: წაკითხული ტექსტი – საკუთარი გამოცდილება, წაკითხული ტექსტი – სხვა	რასთან შეიძლება ამ მოვლენის/იდეის დაკავშირება? რა პარალელების გავ-ლებაა შესაძლებელი?

	ტექსტები, წაკითხული ტექსტი – გარე-სამყარო.	
შეკითხვების დასმა	მოსწავლე საკუთარ თავს უსვამს ტექსტთან დაკავშირებულ შეკითხვებს წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ. შეკითხვები შეიძლება ემსახურე-ბოდეს ფაქტობრივი ინფორმაციის ამოღებას, ცნებების/მოვლენების ანალიზს ან შინაარსის კრიტიკულად გააზრებას.	ვინ? სად? რა? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?
წაკითხული ტექსტის აბზაცებად დაყოფა და დასურათება /კო-მიქსი	მკითხველი გამოკვეთს წაკით-ხული აბზაცების/მონაკვეთების ძირითად აზრს და აკეთებს ჩანა-ხატს. ამოაგდებს ტექსტიდან მეო-რეხარისხოვან ინფორმაციას და მხოლოდ მნიშვნელოვანს ხატავს. იყენებს ფაქტობრივ ცოდნას, რაც ტექსტშია მოცემული, ნახატის საშუალებით წარმოაჩენს ნაწარ-მოების პერსონაჟებს.	რა არის ამ აბზა-ცის/მონაკვეთის მთა-ვარი სათქმელი? როგორ შეიძლება ნა-ხატით გადმოვცე ეს? როგორ გამოიყურება პერსონაჟი? როგორია გარემო? რა მოხდა ტექსტის დასაწყისში? როგორ ვითარდება მოვლენები მომდევ-ნო

		აბზაცში?
შეჯამება და ძირი-თადი აზრის გამოკ-ვეთა წერილობით	მკითხველი გამოკვეთს წაკით-ხული აბზაცების/მონაკვეთების ძირითად აზრს და მოკლედ აყალიბებს საკუთარი სიტყვებით წერილობით. ერთმანეთს უკავში-რებს საკვანძო იდეებს, ამოაგდებს მეორეხარისხოვან ინფორმაციას და კარგად იმახსოვრებს წაკითხულს.	რომელი ინფორმაციაა პირველხარისხოვა-ნი? როგორ შეიძლება ამ-ის თქმა მოკლედ?
პერსონაჟის რუკა	მოსწავლეები ავსებენ სქემას, (სქემა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი) მუშაობისას რამდენჯერმე მიუბ-რუნდებიან ტექსტს, ეძებენ და აკვირდებიან პერსონაჟის დამახა-სიათებელ ადგილებს. შემდეგ წარადგენენ თავიანთ ნამუშევარს, განიხილავენ და მუშაობენ მათ დაზუსტება-დახვეწაზე ტექსტის მოშველიებით. მეთოდი ხელს უწყობს ტექსტში პერსონაჟის შესა-ხებ ყველა ინფორმაციის მოძებნას, გააზრებასა და დასკვნების გამო-ტანას.	არსებობს რამდენიმე სქემა განსხვავებუ-ლი კითხვებით. მათ შორის: 1. როგორია პერ-სონაჟი? რა თვისებები აქვს მას? დაასაბუთეთ ტექსტიდან. 2. როგორია პერსო-ნაჟი დასაწყისში? როგორ შეიცვალა ნაწარმოების ბო-ლოს? რატომ შეიცვალა პერსონაჟი? 3.როგორ გამოიყურება პერსონაჟი? რა აცვია? ვის ჰგავს? რას აკეთებს? როგორ იქცევა? რას გრძნობს? რაზე

		ფიქრობს? რა სურს? რა არის მისი მიზანი?
მკითხველ ის თეატრი / როლური თამაში	მკითხველის თეატრი გულისხმობს ნაწარმოების ხმამაღალ როლურ კითხვაში მოსწავლეების ჩართვას. მკითხველის თეატრი არ მოითხოვს დეკორაციებს, კოსტიუმებს ან მოქმედებას. მოსწავლეები (მკითხველები) გადმოსცემენ განწყობილებას, ტონს, ემოციებს და მოქმედ პირთა ხასიათს ხმის, მიმიკისა და ჟესტების მეშვეობით. მკითხველის თეატრი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ერთდროულად ივარჯიშონ კითხვისა და მეტყველების უნარების განვითარებაში. მოსწავლეები სწავლობენ გამომსახველობით კითხვას. მკითხველის თეატრის ჩატარებამდე უნდა განაწილდეს ტექსტი და განისაზღვროს როლები (მაგალითად, მთხრობელი, მოქმედი პირები). ყოველმა მოსწავლემ რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს ტექსტი ჩუმად. ისინი	რამდენი პერსონაჟია ნაწარმოებში? როგორი ინტონაციაა საჭირო პერსონაჟის გრძნობების, განწყობის გადმოსაცემად? რას ამბობს და რას განიცდის პერსონაჟი? რაზე ფიქრობს? რას ამბობს ავტორი პერსონაჟის შესახებ? როგორ ახასიათებს იგი პერსონაჟს?

	იმდენჯერ კითხულობენ ტექსტს, რამდენჯერაც საჭირო იქნება საკუთარ შესაძლებლობაში დასარწმუნებლად, როლის „შესაგუებლად”, თავისუფლად წასაკითხად.	

წარმოდგენილი სტრატეგიების დაუფლება არ საჭიროებს დიდ ძალისხმევას. მათი სასწავლო პროცესში გამოყენება არ მოითხოვს განსაკუთრებულ მომზადებას. მასწავლებელს არ უწევს დიდი დროისა და ფინანსების დახარჯვა შესაბამისი რესურსების შესაქმნელად და მოსაძიებლად. მთავარია, მოსწავლეებს ვასწავლოთ, როგორ გამოიყენონ ეს სტრატეგიები.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ მოსწავლეებს ჩვევაში ჰქონდეთ წაკითხული ტექსტის გააზრება მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა დისციპლინის შესწავლისას ან თუნდაც მხატვრული ლიტერატურის დამუშავებისას. შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სწავლების ხარისხი არა მხოლოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, არამედ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებითაც.

(ნ. ჭუმბურიძე, სტრატეგიები, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისთვის 19 მარტი, 2019: 3-8)

თავი II

კვლევის ანგარიში

თემაზე:

,, ტექსტის გაგება-გააზრების უნარების განვითარების ხელშეწყობა მე-6 კლასის მოსწავლეებთან“

შესავალი / საკვლევი საკითხის აქტუალურობა

გადავწყვიტე კვლევა მეწარმოებია სოფ. გუმბათის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებთან.

კვლევის განხორციელება დავიწყე 2020 -2021წ. ჩემი მიზანი იყო დამედგინა პრობლემის გამომწვევი მიზეზები, დამესახა მათი გადაჭრის გზები. საკვლევ საკითხად შევარჩიე ტექსტის გაგება-გააზრება.

დაკვირვების და სადიაგნოსტიკო ტესტირებების შემდეგ შევარჩიე კვლევის მეთოდები: თვისობრივი მეთოდიდან გამოვიყენე უბრალო დაკვირვება, რომელსაც განვახორციელებდი მთელი კვლევის პროცესშიც, ხოლო რაოდენობრივი მეთოდიდან გამოვიყენე ანკეტირება მოსწავლეებთან და მშობლებთან, ჩემ მიერ შედეგენილი კითხვარების შევსება ვთხოვე კოლეგებს, რათა დამედგინა არსებული პრობლემის სიღრმე და გამერკვია მათ საგანში არსებობდა თუ არა მსგავსი პრობლემა და რა გზებით აგვარებდნენ ამ პრობლემას. ასევე როდესაც დავაკვირდი მოსწავლეთა დინამიკას და შევადარე ეროვნულ სასწავლო გეგმის მისაღწევ სასწავლო გეგმას, აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეები ვერ ძლევდნენ შესაბამისად შემდეგ მიზნებსსა და ინდიკატორებს:

ქართ.VI. 10.

მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე;

ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული მხატვრული ხერხის დანიშნულებას.

ქართ. VI. 14.

მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში;აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკეთებს მოკლე წერილობით კომენტარს მისთვის მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ;
- საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ მხატვრულ ფორმას;
- ქმნის მისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარ ვარიანტს;
- კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის ტექსტის დასაწყისის მიხედვით ქმნის შესაბამისი მხატვრული ფორმის მცირე ზომის თხზულებას;
- ქმნის ორიგინალურ თხზულებას. [1]

ეს ყოველივე მიუღწეველია, თუ მოსწავლეს შესაბამის დონეზე არ აქვს დაძლეული მეხუთე კლასის სტანდარტი:

ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია გამოვიყენე შემდგომი აქტივობებისა და ინტერვენციების დასაგეგმად, რომლებიც დამეხმარა ხელი შემეწყო ჩემი კლასის მოსწავლეებისთვის, რათა განევითარებინათ გაგება-გააზრების უნარი. ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება თავისთავად ხელს შეუწობს მოსწავლეებს მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლას.

თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები

კვლევა ჩატარდა სოფ. გუმბათის საჯარო სკოლის მე-6 კლასში. კლასში 5 მოსწავლეა. კლასში არიან ძლიერი და საშუალო შესაძლებლობის მოსწავლეები. მოსწავლეები არიან გონიერი, მოტივირებული და აქტიურები. მოსწავლეთა

უმრავლესობას შეუძლია საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურად ჩართვა. დაკვირვებისას ვამჩნევდი, რომ მიუხედავად იმისა , რომ ჩემს მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვა, მაინც დაბალია ტექსტის გაგება-გააზრების მაჩვენებელი. მოსწავლეებს ხშირად უჭირთ წაკითხული ტექსტიდან დასმულ შეკითვებზე პასუხის გაცემა, ასევე მოკლე შინაარსის გადმოცემა. ეს კიდევ დამატებით სირთლეს ქმნის, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების შეფერხება ხდება. ვთვლი, რომ ახლა თუ არ მოხდა ამ პრობლემის აღმოფხვრა, შემდეგში მოსწავლეებს გაუჭირდებათ კრიტიკული იაზროვნონ, საკუთარი დამოკიდებულებები და ინტერესები სწორად განსაზღვრონ. ჩვენი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნაც ხომ სწორებდ ამ უნარების განვითარებას ემსახურება. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ:

„პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- *განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);*
- *გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;*
- *განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;*
- *ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;*
- *შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;*
- *გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.* “[1]

გადავწყვიტე მეკვლია წაკითხულის გაგება-გააზრების უნარები ჩემს მოსწავლეებში, მომეხდინა პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და დამესახა მათი გადაჭრის ეფექტური გზები.

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები:

- სახელმძღვანელოში მოთავსებული ვრცელი ტექსტები, რომელთა კითხვა არ მოსწონდათ მოსწავლეებს.
- უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია.
- აქვთ ლექსიკური მარაგის სიმწირე.
- მხატვრული ტექსტების სირთულე, რაც გულისხმობს, რომ ტექსტი შეიცავს რთულ ლექსიკურ ერთეულებს.
- მშობლები ნაკლებად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში ან უმეტეს შემთვევაში არ ფლობენ ინფორმაციას მათი როლის შესახებ შვილის განათ-ლებაში.
- ნაკლები ინტერესი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის მიმართ.
- სახელმძღვანელოს ნაკლებად შესაბამისობა მოსწავლეთა შესაძლებ-ლობებსა და ინტერესებს.
- ისეთი აქტივობების ნაკლებობა საგაკვეთილო პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს ტექსტის გაგება-გააზრებას.
- სიზარმაცის ფაქტორი.

1.4 კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩემი კვლევის მიზანია, გადავჭრა პრობლემა, რომელიც ჩემს სამიზნე კლასში გამოიკვეთა. კერძოდ, წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები მე-6 კლასში.

საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ ჩამოვაყალიბე კვლევის **მიზანი:**

- მოვახდინო კლასში არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და მისი ეფექტურად გადაჭრის გზების ძიება

- ხელი შევუწყო მოსწავლეებს ტექსტების გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში, რის შემდგომ მოსწავლეები შეძლებენ ამ უნარის განვითარებით სხვა უფრო მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასაც.
- მოვიძიო და დავამუშაო საკვლევ საკითხთან დაკავშრებული ლიტერატურა, ასევე ეფექტური სტრატეგიები, რაც დამეხამრება პრობლემის გადაჭრაში
- მიღებული გამოცდილება გამოვიყენო შემდგომ ჩემს პრაქტიკაში

დავისახე **ამოცანები,** რომლებიც დამეხმარება მიზნის მიღწევაში:

- მოსწავლეებზე უბრალო და ფოკუსირებული დაკვირვების წარმოება;
- მოსწავლეთა ანკეტირება
- მშობელთა ანკეტირება
- ინტერვიუ კოლეგებთან
- მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფი
- ინტერვენციების დაგეგმა და განხორციელება;
- კვლევის შედეგების ანალიზი;

1.5 ძირითადი საკვლევი კითხვები-ქვეკითხვები

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბე ძირითადი საკვლევი კითხვები და ქვეკითხვები.

ძირითადი კითხვაა:

- რა უშლის ხელს მეექვსე კლასის მოსწავლეებში ტექსტის გაგება/გააზრების უანრების განვითარებას?
- როგორ განუვითაროთ მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარები მე-6 კლასის მოსწავლეებს?

ქვეკითხვები:

- უწყობს თუ არა ხელს გაგება-გააზრებაში მოსწავლეს სწორად შერჩეული რესურსები?
- უწყობს თუ არა ხელს ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებში გაგება-გააზრების უნარის განვითარებას?

- მშობელთა ჩართულობა რამდენად დამეხმარება აღნიშნული პრობლემს მოგვარებაში?
- სწორად ვიყენებ თუ არა განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეებთან, რათა მათ მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების დანახვა და გაგეგბა-გააზრების უნარის გაუმჯობესება?
- ახდენს თუ არა გავლენას ტექსტის სირთულე მოსწავლეთა სწავლის დაბალ მოტივაციაზე?
- ნაკლები ლიტერატურის კითხვა ახდენს თუ არა გავლენას გაგება-გააზრების უნარის განვითარების შეფერხებაზე?

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემა ძალიან აქტუალურია და ამასთან რთული მოსაგვარებელიც, რადგან მასთან დაკავშირებული პრობლემა, მთელ რიგ სხვა პრობლემებს იწვევს. ამას დაუხმარებლად ვერ დავძლევდი, ამიტომ მოვიძიე ჩემს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა, სადაც მოცემულია მეცნიერთა და გამოცდილ პედაგოგთა რჩევები.

ტექსტის გაგებასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული წარმოდგენა ასეთია: თუ სიტყვები იცი, წინადადებებსაც გაიგებ. რასაკვირველია, სიტყვების გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის გააზრების პროცესში. თუმცა ეს საკმარისი არ არის. დავფიქრდეთ, რა განსხვავებაა სიტყვების წაკითხვასა და ტექსტის გაგება-გააზრებას შორის. მაშინაც კი, როცა თქვენ ცნობთ ყოველ სიტყვას (ავტომატურად შიფრავთ ორთოგრაფიულ ხატს) და თითოეულ მათგანს მყისიერად ანიჭებთ შესაბამის მნიშვნელობას, გამთლიანებული, კონკრეტული აზრის ჩამოყალიბებას მაინც ვერ ახერხებთ. წარმოიდგინეთ, ამგვარი წინადადებებით აწყობილი რამდენიმე გვერდი რომ გქონოდათ წასაკითხი. თანაც, ყოველ მეორე წინადადებაში თითო ან ორ-ორ უცხო სიტყვასაც შეხვედროდით. ალბათ ყველაფერს იღონებდით, რომ ასეთი მტანჯველი საქმისთვის თავი აგერიდებინათ

კითხვა გააზრების გარეშე კითხვა არ არის. გინახავთ ბავშვი რომელსაც შეუძლია, სწორად წაიკითხოს სიტყვები, მაგრამ თუ ჰკითხავთ, რა წაიკითხა, ვერაფერს ამბობს? ამ მოვლენას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, კერძოდ:

- მოსწავლე იმდენად დიდ ენერგიას ხარჯავს სიტყვების ამოცნობასა და გაბგერებაზე,რომ მათი მნიშვნელობა ეკარგება (გაუწაფავი კითხვა);

- მოსწავლეს იმდენად არ სჭირდება ან არ აინტერესებს ტექსტის თემა და შინაარსი, რომ ვერ ახერხებს მასში გადმოცემულ ინფორმაციაზე კონცენტრირებას (მოტივაციის არქონა);

- ტექსტი იმდენად რთულია ლექსიკური, სინტაქსური ან კონცეპტუალური კუთხით, რომ მოსწავლე ვერ ახერხებს აზრების გამოტანას და ერთმანეთზე გადაბმას (მოსწავლის კითხვის დონესა და ტექსტის კითხვადობას შორის შეუსაბამობა).

წაკითხვისა და გააზრების პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთდროულად მიმდინარეობს. კითხვის ამ ორ დიდ კომპონენტს შორის განსხვავებას გაწაფული მკითხველები ვერ ვგრძნობთ - კითხვა ერთიანი, განუყოფელი პროცესი გვგონია. პატარა მკითხველებისთვის კი სიტყვების ამოკითხვასა და ტექსტის გააზრებას შორის კავშირი ასეთივე მკაფიო და თავისთავადი სულაც არ არის. მათი ძალისხმევა ძირითადად დეკოდირების ანუ სიმბოლოთა გაშიფვრის პროცესზეა მიმართული. ამიტომ, სანამ სიტყვების ამოცნობაში გაიწაფებიან, გააზრებისა და ინტერპრეტაციისთვის ნაკლები ენერგია რჩებათ. სიტყვების ამოცნობის უნარის გაწაფვა (სწრაფი დეკოდირება და მნიშვნელობის მინიჭება) კარგი კითხვის უმნიშვნელოვანესი საყრდენია. თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან აზრის გამოტანა, საკუთარ გონებაში წარმოდგენების კონსტრუირება და იმის გაცნობიერება, თუ რას ეუბნება ავტორი მკითხველს.

გაგება-გააზრება კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე კომპონენტია. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი წაკითხულიდან აზრის გამოტანაა. ერთი შეხედვით, ეს მარტივ მოქმედებად აღიქმება. მაგრამ პროცესი საკმაოდ რთულია და მისი სწავლება,

სწავლა და პრაქტიკაში გადატანა ადვილი არ არის. გაგება-გააზრება ნებელობითი (შეგნებული), აქტიური, ინტერაქტიული (იგულისხმება ინტერაქცია ავტორთან) პროცესია. ის იწყება წაკითხვამდე, მიმდინარეობს კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გრძელდება. არსებობს გაგება-გააზრების სხვადასხვა დონე: სიტყვასიტყვითი, ანალიტიკური და შეფასებითი. მკითხველი იაზრებს ტექსტში მოცემულ ექსპლიციტურ, ფაქტობრივ ინფორმაციას და ასევე იმპლიციტურ, ტექსტში დაფარული სახით არსებულ ინფორმაციას. განვიხილოთ უფრო დეტალურად. როცა ბავშვი კითხულობს, მის გონებაში სინქრონულად მუშაობს რამდენიმე პროცესორი:

- ანბანური-ორთოგრაფიული პროცესორი, რომელიც ასოებს აღიქვამს; კვლევების უმრავლესობა გვარწმუნებს, რომ გაწაფული მკითხველი ავტომატურად ცნობს ყოველ სიტყვას და მის შემადგენელ ყველა ასოს;
- ფონოლოგიური პროცესორი, რომელიც აღქმულ მთლიან სიტყვებს გონებაში ახმოვანებს;
- სემანტიკური პროცესორი, რომელიც თითოეულ დეკოდირებულ სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებს;
- სინტაქსური (გრამატიკული) პროცესორი, რომელიც სიტყვებს აღიქვამს და აერთიანებს სხვა სიტყვებთან წინასწარ განსაზღვრული გრამატიკული წესების მიხედვით;
- კონტექსტური პროცესორი, რომელიც უფრო მსხვილ იდეებში აერთიანებს სიტყვებს და ფრაზებს, აყალიბებს ვარაუდებს მომდევნო სიტყვებისა და აბზაცების შინაარსის შესახებ. ეს ბოლო პროცესორი ვერ იმუშავებს წინა პროცესორებისგან მოწყვეტილად.

თუმცა ოთხივე პროცესორის ერთდროული მუშაობა ხელს უწყობს ერთმანეთის ეფექტურობას. გაწაფული მკითხველის გონებაში კითხვის ტექნიკურ მხარეზე პასუხისმგებელი პროცესორები იმდენად სწრაფად და ხარისხიანად მუშაობენ, რომ მკითხველს გააზრებისათვის საუკეთესო წინაპიროებებს უქმნის. გაგება-გააზრების სიღრმესა და სიცხადეს სემანტიკური და კონტექსტური პროცესორების ინტენსიური, შეთანხმებული მუშაობა განაპირობებს. თუ რომელიმე პროცესორი შეფერხდა, სააზროვნო ენერგია ასო-ბგერებისა და სიტყვების დამუშავებაზე იხარჯება, რაც შინაარსში წვდომისთვის საჭირო ენერგიას სხვა პროცესებისკენ მიმართავს. გაგება-

გააზრებასა და ლექსიკურ მარაგს შორის არსებობს კვლევით დადასტურებული მჭიდრო კავშირი, კერძოდ, ბავშვები, რომლებმაც მეტი სიტყვა იციან, უკეთ იგებენ ტექსტებს. ტექსტის გასაგებად მკითხველმა მასში გამოყენებული სიტყვები უნდა გაიგოს. თუ ცალკეული სიტყვები გაუგებარია, მთლიანი ტექსტიც გაუგებარი დარჩება. ტექსტის ყოველი სიტყვისათვის მნიშვნელობის მინიჭების გარდა, ბავშვმა უნდა შეძლოს მათი ლოგიკური მსჯელობით უერთიერთდაკავშირება და გამთლიანება. სწორედ ეს განაპირობებს ტექსტის გაგება-გააზრებას და ამიტომ არის საჭირო, რომ ბავშვებმა უწყვეტად გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი ახალი სიტყვებით. წინა თავში ჩვენ უკვე შევეხეთ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის საუკეთესო მეთოდებს და რესურსებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა აქტიურად გამოიყენონ ისინი წაკითხვამდე, კითხვის პროცესში და წაკითხვის შემდეგ. ცნობილია, რომ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მკითხველები იყენებენ გააზრების სტრატეგიებს. ესენია: შეკითხვების დასმა და პასუხების ძიება, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება, შეჯამება, წარმოსახვაში გაცოცხლება, გაგების მონიტორინგი და სხვ.

პატარა მკითხველები გაგება-გააზრების უნარს ადვილად, სწრაფად და თავისთავად ვერ ეუფლებიან. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტექსტების კითხვასთან ერთად გაგება-გააზრებაც თავისთავად გაღრმავდება. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. გააზრების უნარ-ჩვევებს/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტს გააზრების განსხვავებული სტრატეგიები მიესადაგება. მხატვრული, თხრობითი ტექსტების გააზრება განსხვავდება საბუნებისმეტყველო ტექსტების გააზრებისაგან, რომელიც, თავის მხრივ, განსხვავდება საგაზეთო სტატიის გააზრებისაგან და ა.შ. ასე რომ, გაგება-გააზრების ათვისება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის, სიღრმის და დიაპაზონის ტექსტებს კითხულობს ადამიანი. გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი ზემოქმედებს, ესენია: 1) მკითხველი, 2) ტექსტი, 3) მიზანი და 4) სიტუაციური კონტექსტი/გარემო. მკითხველი არის სუბიექტი, რომელიც ჩართულია გაგება-გააზრების პროცესში (მაგალითად, მესამეკლასელი ელენე ან მეექვსეკლასელი

მურადი). ტექსტი არის საკითხავი მასალა, რომელსაც იაზრებს მკითხველი (მოთხრობა, სტატია, ლექსი, სარეკლამო განცხადება და სხვ.). მიზანი გულისხმობს გააზრების ამოცანას, რომლის შესრულებასაც ცდილობს მკითხველი და იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ამისათვის იყენებს (მაგალითად,არგუმენტირებული ესეისთვის ინფორმაციის მოძიება, კონსტრუქტორის აწყობის პროცედურის გაცნობა, ნაწარმოების ძირითადი იდეის დადგენა, მოვლენების თანმიმდევრობის დროით ღერძზე წარმოდგენა, პერსონაჟის განზრახვის ამოცნობა და სხვ.). კონტექსტი კი არის იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომელშიც მიმდინარეობს კითხვის პროცესი. როგორც ზემოთ ვთქვით, წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი: ა) სიტყვასიტყვითი გაგების დონეზე, ბ) ანალიზისა და დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონეზე და გ) კრიტიკული შეფასების დონეზე. შესაბამისად, გაგება-გააზრებისათვის მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მოითხოვს:

- ნაცნობი სიტყვების ავტომატურად ამოცნობას და მათი მნიშვნელობის გახსენებას;
- უცნობი სიტყვების სწრაფად დეკოდირებას და მათთვის მნიშვნელობის მინიჭებას;
- კონტექსტური მინიშნებების-გასაღებების ამოცნობას და გამოყენებას;
- წინადადებებში გადმოცემული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებას;
- ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან;
- წაკითხულის გასააზრებლად ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორიცაა: ვიზუალიზება, შეჯამება, მთავარი იდეის გამოკვეთა, ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, სხვადასხვა დონის კითხვების დასმა, დასკვნების გაკეთება, ვარაუდების გამოთქმა და სხვა.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი რიგ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში, ამიტომ საჭიროა მიმოვიხილოთ ამ სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები, რათა შევიმუშავოთ სწორი სტრატეგიები/მიდგომები და გამოვიყენოთ შესაბამისი მეთოდები მათ აღმოსაფხვრელად. ის მკითხველი, რომელიც

წაკითხულის გააზრების ძლიერი უნარებით გამოირჩევა, კითხვისას მრავალ კოგნიტურ სტრატეგიას იყენებს, როგორიცაა წარმოდგენა და წარმოსახვა – წაკითხული სცენების, მოქმედებების, გმირების, სიტუაციების ვიზუალიზება. ტექსტის წაკითხვისას მას ებადება კითხვები და ცდილობს, ამ კითხვებზე პასუხების გაცემას, კითხვისას აკონტროლებს, რა გაიგო და რა – ვერა, წაკითხულს კრიტიკულად იაზრებს, შეუძლია ტექსტში გადმოცემული ძირითადი აზრების შეჯამება და ვარაუდების გამოთქმა. ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად კარგი მკითხველი შეიძლება ხშირად დაუბრუნდეს წაკითხულ ეპიზოდებს და კითხვის მიზნების შესაბამისად ცვალოს კითხვის სტრატეგიები წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი ყველაზე უკეთ მაშინ ვითარდება, როცა მასწავლებელი მას ექსპლიციტურად _ ჩვენების, ახსნისა და მართული პრაქტიკის გზით ასწავლის მოსწავლეებს. ასევე კარგი შედეგი აქვს სტრატეგიების კომბინირებულად გამოყენებას (მაგალითად, როცა მოსწავლეები ცდილობენ, შეკითხვების დასმისა და შეჯამების სტრატეგიები ერთდროულად გამოიყენონ). მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, რომ განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებთან იმუშაონ და გამოიყენონ ათვისებული სტრატეგიები. გაგება-გააზრების სწავლებაში წარმატების ოქროს გასაღები კარგად სტრუქტურირებული აქტივობებია. რა აძლიერებს გაგება-გააზრების სწავლება-სწავლის პროცესს?

- ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლება;
- ტექსტზე ფოკუსირებული დისკუსიები მოსწავლეებს შორის;
- თანამშრომლობითი სწავლა წყვილებსა და მცირე ჯგუფებში;
- ადეკვატური, მაგრამ განსხვავებული სირთულის, სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებთან მუშაობა;
- ლექსიკური მარაგის აქტივობების ინტეგრირება გააზრების აქტივობებში;
- წერითი აქტივობების გამოყენება ტექსტის გააზრების ინტრუმენტის სახით;

ლექსიკური მარაგი

”უბადრუკი მეტყველება უბადრუკი აზროვნების ნიშანია” ,– ლევ ტოლსტოი.

ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ, რომ თანამედროვე ბავშვებს უჭირთ აზრის სათანადოდ გადმოცემა, მოყოლა, შეცდომების გარეშე საუბარი. ის, რომ მათ

სიტყვების მარაგი არ აქვთ, ამის მიზეზი გარდა უწიგნურებისა, სიტყვიერი ურთიერთობების სიმწირის და კომპიუტერსა და ტელევიზორზე მიჯაჭვულობის შედეგიცაა. არადა, სიტყვათა მარაგი, რომელსაც ბავშვი აზრის გადმოცემის დროს გამოიყენებს, ძალიან მნიშვნელოვანია სკოლაშიც და ცხოვრებაშიც. ხშირად კარიერული წარმატება, ადამიანთა კეთილგანწყობა, ავტორიტეტის გამყარება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის ორატორულ ნიჭს, აზრების მკაფიო და ლამაზი გადმოცემის უნარს. ამიტომ სიტყვის მარაგის გამდიდრებაზე ადრეული ასაკიდანვე უნდა ვიზრუნოთ.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ადამიანს გააჩნია ლექსიკური მარაგის ორი ტიპი: აქტიური და პასიური.

აქტიური – მოიცავს სიტყვებს, რომლებსაც ის ლაპარაკის და წერის დროს იყენებს.

პასიურ მარაგს ის სიტყვები წარმოადგენს, რომლებსაც ის იგებს კითხვისას თუ მოსმენისას, მაგრამ არ გამოიყენებს მათ სალაპარაკო ენასა და წერაში. ამიტომ პასიურ სიტყვათა მარაგი რამდენჯერმე აღემატება აქტიურს.

მეცნიერთა აზრით, სიტყვათა მარაგის შესავსებად კარგი საშუალებაა კლასიკური პოეზია და პროზა. სალაპარაკო ენის გამდიდრებისათვის კი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ კლასიკა. სიტყვათა მარაგის შესავსებად კითხვის გარდა რეკომენდებულია ასევე ლექსების დაზეპირება, ენციკლოპედიის შეთვისება და კროსვორდების ამოხსნაც კი.

რჩევები როგორ გავუმდიდროთ ბავშვს სიტყვათა მარაგი:

1. გამუდმებით ესაუბრეთ ბავშვს. ის ახალ სიტყვებს მხოლოდ სხვების მოსმენით ისწავლის. რაც უფრო მდიდარ და მრავალფეროვან საუბარს ისმენენ, მით უფრო მდიდრდება მათი ენაც. ამიტომ ესაუბრეთ ბევრი.

2. უკითხეთ ხმამაღლა. თანდათან ისეთი წიგნები შეარჩიეთ, სადაც პერსონაჟთა მრავალფეროვნებაა და სიუჟეტიც აქტიურად ვითარდება. პატარა მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ისაუბრეთ მომხდარზე, იმსჯელეთ და გზადაგზა უცხო სიტყვები ახსენით.

3. როცა სეირნობისას საინტერესო ადგილას მოხვდებით, იქედან ყოველთვის წამოიღეთ რაიმე წვრილმანი ნივთი. საღამოს მთელ ოჯახს წარუდგინეთ ეს ნივთი და ბავშვს სთხოვეთ, ყველას უამბოს მის შესახებ. ან უბრალოდ მოყვეს – რა ნახა, სად იყო, რამ მოახდინა მასზე შთაბეჭდილება და ა.შ.

4. ეცადეთ, ხშირად მოაყოლოთ ბავშვს, რა მოხდა დღეს. სთხოვეთ, უფრო დეტალურად გადმოსცეს ესა თუ ის ამბავი. შებრუნებული კითხვები მას დაეხმარება, რომ მოვლენის აღსაწერად მეტი სიტყვა გამოიყენოს. ეცადეთ, კითხვებიც ვრცელი იყოს. აზრის სიტყვებით გადმოცემა საკმაოდ მნიშვნელოვანი უნარია ბავშვისთვის.

5. ახალი სიტყვები თავად უნდა ასწავლოთ. არ შეგეშინდეთ სირთულის – ბავშვის გონება ღრუბელივით ისრუტავს ინფორმაციას. მან შეიძლება, ისეთი სიტყვები დაიმახსოვროს, რომლის წარმოთქმაც კი გიჭირთ.

6. ყველა მოვლენას მიუძღვენით პატარ-პატარა საუბრები. რა თქმა უნდა, ეს საუბრები ბავშვის ასაკზეა დამოკიდებული. თუ რამეს ვერ გაიგებს, აუხსენით. დაიმახსოვრებს და საჭირო დროს თავისთავად ამოუტივტივდება მეხსიერებიდან.

7. ხშირად გამოიყენეთ სინონიმები რაიმეს აღსაწერად და თავადვე დააკვირდით თქვენს საუბარს. ეცადეთ, ერთი და იგივე სიტყვა ხშირად არ გამოიყენოთ.

რჩევები ბავშვებს ახალი სიტყვების შესასწავლად

1. სიტყვების უმეტესობის სწავლა ხდება კონტექსტში. კითხვისას დიდი ყურადღება მიაქციე იმ სიტყვებს, რომლებიც არ იცით. უპირველეს ყოვლისა წარმოიდგინე, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას კონტექსტიდან გამომდინარე და შემდეგ მოძებნე. იკითხე და უსმინე ისეთ მასალებს, რომელიც ერთგვარი გამოწვევა იქნება თქვენთვის და რომელიც ამავდროულად ბევრი ახალ სიტყვის შემცველი იქნება.

2. გაიუმჯობესე კონტექსტის საშუალებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობის ჩვევა. კონტექსტში სწავლის უნარის გასაუმჯობესებლად, ყურადღება მიაქციე იმას, თუ როგორ არის გამოყენებული სიტყვები.

3. ახალი სიტყვის სწავლა დიდად ვერ დაგეხმარება, თუ მას მალევე დაივიწყებ. საჭიროა სიტყვის 10-20-ჯერ გამეორება იმისათვის, რომ სიტყვა თქვენი ლექსიკის ნაწილი გახდეს. ასევე კარგი იქნება თუ პატარა ზომის ფურცელზე დაწერ სიტყვას

თავისი განმარტებითა და კონტექსტით – რომელსაც მოგვიანებით გადახედავ. როგორც კი ახალ სიტყვას ისწავლი, დაიწყე მისი გამოყენება.

4. წარმოთქვი სიტყვა ხმამაღლა და გააქტიურე შენი სმენითი მეხსიერება. დააკავშირე ახალი სიტყვები უკვე ნაცნობ სიტყვებთან.

5. გამოიყენე დამახსოვრების სხვადასხვა ხრიკი. სიტყვებზე გაკეთებული პატარა ჩანახატები იმის გახსენებაში დაგეხმარება, თუ რას ნიშნავს სიტყვა, ამავდროულად სახალისოც არის მათი შეთხზვის პროცესი. შეეცადე იპოვო სწავლების რომელი სტილი შეგეფერება. ყველა განსხვავებულად სწავლობს.

6. ჩვევად გაიხადე იმ სიტყვების ძებნა, რომლის მნიშვნელობაც არ იცი. თუ კომპიუტერში გაქვთ ლექსიკონის პროგრამა, ის მუდამ ღია გქონდეს, რათა მოსახერხებელი იყოს გამოსაყენებლად. ეძებეთ იმ სიტყვის მნიშვნელობა, რომლის ცოდნაშიც არ ხართ დარწმუნებული. გამოიყენეთ სინონიმებისა და ანტონიმების ლექსიკონი, რათა იპოვოთ ის სიტყვა, რომელიც უკეთ ერგება.

7. ითამაშე სიტყვებით. რეგულარულად შეავსე კროსვორდები.

8. გამოიყენე ლექსიკონის სია. სერიოზული ლექსიკის მქონე მოსწავლეებისთვის მრავალი წიგნი არსებობს. ასევე, ინტერნეტში არსებობს მრავალი საინტერესო საიტი სიტყვებისთვის, რომელიც ყოველდღიურად გამოგიგზავნით ერთ სიტყვას ელ-ფოსტაზე.

9. გააკეთე ტესტი ლექსიკის შესამოწმებლად.

10. აღფრთოვანდი სიტყვებით. დააფასე ის უმნიშვნელო განსხვავებები რაც სიტყვებშია. ისწავლე იმის სიტყვებით გადმოცემა, რასაც ფიქრობ

ზემოთ მოყვანილი ლიტერატურა დამეხმარა გამეაზრებინა ჩემს კლასში არსებული პრობლემის სიცხადე და მომეძებნა ეფექტური გზები. მასალის დახმარებით შევძელი მომეფიქრებინა საჭირო ინტერვენციები და მეთოდები, რაც კვლევის პროცესში დამეხმარა. თუმცა მასალაში მოყვანილი ინფორმაცია არაფერი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო ჩემს მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ზრდა.

მოსწავლის ფაქტორი

მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აკადემიური უნარების მიხედვით, ინტელექტის ტიპით, სოციალური თუ კულტურული გამოცდილებით, სურვილებით, დამოკიდებულებებით, მოლოდინებით...

მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლე მასწავლებელს პატივს სცემს პროფესიონალიზმის, ცოდნის, პიროვნული თვისებების გამო. მოსწავლეთა მოტივაციის მიზეზი შეიძლება იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლესა და მასწავლებელს შორის უნდა იყოს მეგობრულ-კეთიგანწყობილი დამოკიდებულება. მასწავლებლის მოლოდინები გავლენას ახდენს მოსწავლეთა იმ შედეგებზე, რომელიც ამ მოლოდინებს უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იზიარებდეს მოსწავლის განცდებსა და აზრებს, ამავდროულად აუცილებელია, რომ მასწავლებელმა სხვადასხვა ხარისხის მხარდაჭერა შესთავაზოს მოსწავლეებს. მოსწავლე მეტი ხალისით თანამშრომლობს მასწავლებელთან, რომელიც უყვარს. დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა.“

აქვე ვკითხულობთ, თუ რამდენად მვიშვნელოვანია მშობლის აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში: „სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისა და წარმატებისათვის. მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მოსწავლის გააქტიურებას.კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლებმა, სადაც მშობელთა ჩართულობის ეფექტური პროგრამები არსებობს, მიიღეს მრავალი პოზიტიური შედეგი, მათ შორის მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესება. გასათვალისწინებელია, რომ მშობელი ერთ-ერთი მთავარი რესურსია, რომელიც მასწავლებელმა და სკოლამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს.“[8]

მოტივაციის ამაღლებისთვის სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებტან ერთად, ყველაზე ეფექტურია მგონია განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასებისთვის კარგია მასწავლებელი თუ გამოიყენებს კონსტრუქტიულ უკუავშირს, რის დროსაც მოსწავლე გრძნობს ჩვენს მხარდაჭერას და აქვს შინაგანად კონფორტული მდგომარეობა და არ უშინდება არანაირ წინააღმდეგობას.

ინტერნეტგაზეთ „მასწავლებელში“ განმავითარებელი შეფასების შესახებ ვკითხულობთ:

„ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუკი იგი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, თუ რა გზით უნდა წავიდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორე მხრივ, ერთი და იგივე აქტივობა ან სტრატეგია ზოგჯერ შეიძლება ემსახურებოდეს განმავითარებელი შეფასების პროცესს და ზოგჯერ – არა. მაგალითად, კითხვების დასმა ცნობილია, როგორც განმავითარებელი შეფასების მძლავრი ინსტრუმენტი. თუმცა ზოგ შემთხვევაში კითხვების დასმა ქმნის განმავითარებელი შეფასების საფუძველს, ზოგ შემთხვევაში კი – არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვაძლევს საშუალებას კითხვები, გავიგოთ მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე“ [2]

თავი III კვლევის დიზაინი

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფეე გუმბათის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის 5 მოსწავლე, 5 მშობლები და ამავე კლასში მოღვაწე 3 მასწავლებელი.

3.2 კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოვიყენე კვლევის ორივე მეთოდი: თვისობრივიდან - უბრალო დაკვირვება და ფოკუსირებული დაკვირვება, ასევე ინტერვიუ მასწავლებლებთან, ხოლო რაოდენობრივიდან ანკეტირება მოსწავლეებთან და მშობლებთან.

- **უბრალო დაკვირვება** - გამოვიყენე საკვლევი საკითხის იდენტიფიცირებისთვის და შემდგომი პროცესის შესაფასებლად, რის დროსაც ვაწარმოებდი დაკვირვების დღიურს, სადაც ვინიშნავდი მოსწავლეების ყოველდღიურ მუშაობაში გამოვლენილ ხარვეზებს, ასევე პროგრესსაც.

- **ფოკუსირებული დაკვირვება** - გამოვიყენე საკვლევი საკითხის ინდენტიფიცირების შემდეგ, როდესაც ჩამოვაყალიბე პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანზე ვახდენდი დაკვირვებას, კერძოდ, კითხვის დროს ხდებოდა თუ არა ტექსტის სრულად გააზრება

- **ინტერვიუ მასწავლებლებთან** - გამოვიყენე, რომ უკეთ ამომეცნო პრობლემა და ჩავღრმავებოდი მას, რათა სწორად მომეძია გადაჭრის გზები.
- **ანკეტირება მოსწავლეებთან და მშობლებთან** - მოვამზადე კითხვები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისათვისაც, რათა გამერკვია რამდენად სწორად იაზრებდნენ მოსწავლეები წაკითხულის შინაარსს, ასევე მინდოდა გამერკვია, ჩემი მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, რადგან მისი გათვალისწინებით დამეგეგმა კვლევის შემდეგი ეტაპი.

მოცემული მეთოდების გარდა გამოვიყენე სადიაგნოსტიკო ტესტები, როგორც კვლევის დაწყების წინ, ასევე დასრულებისას. ბოლოს კი გავაკეთე შედეგების შესამოწმებელი ტესტიც და ამით მოვახდინე შედეგების გაზომვა.

3.3 კვლევის გეგმა და ვადები

აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი
საკვლევი თემის შერჩევა	√					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	√					
ლიტერატურის მოძიება და	√	√	√	√	√	

მიმოხილვა						
მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი	√	√	√	√	√	
სადიაგნოსტიკო ტესტირება პრეტესტი და პოსტტესტი)	√					√
კვლევის მიზნისა და ამოცანების შემუშავება	√					
სამიზნე ჯგუფის ჩამოყალიბება	√					
კითხვარების შედგენა ანკეტირებისათვის	√					
მოსწავლეთა ანკეტირება	√				√	
ინტერვიუ მასწავლებლებთან	√					
მშობელთა ანკეტირება	√					
მონაცემთა ანალიზი		√				
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა		√				

ინტერვენციების განხორციელება		√	√	√	√	
შედეგის შესამოწმებელი ტესტირება						√
შედეგების ანალიზი						√
კვლევის პრეზენტაცია						√
კვლევის ანგარიშის ატვირთვა						√

თავი IV კვლევის შედეგები

4.1 მონაცემთა ანალიზი

კვლევის პროცესში გამოყენებული კვლევის მეთოდების შემდეგ მოვახდინე მიღებული შედეგების ამოკრეფა და ანალიზი. გამოვიყენე როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

თვისობრივი კვლევის მეთოდმა - **უბრალო დაკვირვებამ** დამანახა მოსწავლეებში გაგება-გააზრების უნარებთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე შევძელი ამომეცნო მათი სუსტი მხარეები კითხვის პროცესში, რაც ძირითადად ეხებოდა ტექსტის მიხედვით დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იყო მცდარი. მოსწავლეთა ნაწილს არ ჰქონდა გამომუშავებული უნარ-ჩვევა, რომელიც კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემას ეხებოდა. მოსწავლეები კითხვის დროს ხშირად უშვებდნენ ლექსიკურ შეცდომებს, არ იყენებდნენ სწორ ინტონაციებს საუბრისას და უმეტეს შემთხვევაში გაუაზრებელ ტექსტებს ამბობდნენ. დაკვირვების შედეგად მიღებული შედეგები დამეხმარა შემდეგი ეტაპის დაგეგმვაში. დაკვირვებას ვაწარმოებდი მთელი კვლევის პორცესში, რათა დამენახა გაგება-გააზრების უნარების

განვითარების დინამიკა და ასევე შემეფასებინა ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობების შედეგიანობა.

დაკვირვების წარმოების შედეგად გამოიკვეთა ცალკეული მიზეზები:

- წიგნიერების დაბალი დონე და ლექსიკური მარაგის სიმწირე.
- პრობლემის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ნებისყოფაც, რომელსაც ითხოვს გააზრებული კითხვა, რადგან კითხვა ითხოვს კონცენტრირებას, რის დროსაც მოსწავლემ ყურადღება ერთნაირად უნდა გაანაწილოს როგორც გააზრებაზე, ასევე ნააზრევის გადმოცემაზე.
- მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული სწორად მეტყველების უნარი.

სადიაგნოსტიკო ტესტის (პრეტესტის და პოსტტესტი) გამოყენებამ ზუსტად დამანახა პრობლემა, რაც ტესტის შესრულების დროს გამოიკვეთა, ჩემი მოსწავლეების ნაწილს გაუჭირდა მიცემული დავალებიდან აზრის ზუსტად გამოტანა და კითხვაზე პასუხის გაცემა. შედეგები გადანაწილდა ასე:

სადიაგნოსტიკო ტესტის შედეგები: (პრეტესტი)		
მაღალი	საშუალო	დაბალი
1	1	3

სადიაგნოსტიკო ტესტის შედეგები: (პოსტტესტი)		
მაღალი	საშუალო	დაბალი
4	1	0

დასკვნა: როგორც სადიაგნოსტიკო ტესტიდან ჩანს, მოსწავლეებთა პროგრესი აშკარად სახეზეა

ფოკუსირებული დაკვირვება

სადიაგნოსტიკო ტესტის ჩატარების შემდეგ, გამოვიყენე ფოკუსირებული დაკვირვება, რომელიც ზუსტად მიმართული იყო ტექსტის გაგება-გააზრებისკენ. ფოკუსირებულ დაკვირვებას ვიყენებდი ინტერვენციების განხორციელების დროსაც. თვალს ვადევნედი ჩემი მოსწავლეების გაგებისა და გააზრების უნარების განვითარების დინამიკას და ამავე დროს მათი მსჯელობის უნარსაც. ვაკვირდებოდი იმ მოსწავლეებს, ვისაც ყველაზე მეტად ამ უნარის დეფიციტი გააჩნდათ. ვინიშნავდი მათ სუსტ და ძლიერ მხარეს და ისე ვგეგმავდი შემდეგ აქტივობებს და ვარგებდი მათ შესაძლებლობებს. ფოკუსირებული დაკვირვების დროს ვადგენდი ოქმებს, სადაც ნაჩვენები იყო ჩემი მოსწავლეების პერიოდული ჩავარდნები და პროგრესი.

ფოკუსირებული დაკვირვების ოქმი

2020 წლის 3 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით ვაწარმოებდი ფოკუსირებულ დაკვირვებას მეექვსე კლასის მოსწავლეებზე. ვაკვირდებოდი იმ კონკრეტულ მოსწავლეებს, რომლებმაც სადიაგნოსტიკო ტესტის შესრულების დროს დაბალი შედეგები აჩვენა. ამ დაკვირვების მიზანი იყო, მკაფიოდ გამომეკვეთა მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები. ორკვირიანი დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვიტანე დასკვნა: მოსწავლეები ყველა კითხულობს მეტ-ნაკლებად კარგად, თუმცა ვერ ახერხებს **შინაარსის მოყოლას.** განსაკუთრებით უჭირთ **კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემა.** კითხვის დროს არ უკვირდებიან და არ იაზრებენ ნაცნობ სიტყვებს, რის შემდეგ ძალიან განიცდიან, როდესაც მითითებას ვუკეთებ. ასევე შ **ყურადღებას არ აქცევენ სასვენ ნიშნებს და ზოგჯერ გადაბმულადაც კი კითხულობენ მთელ ტექსტს.**

ფოკუსირებულმა დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მქონდა პრობლემები კლასის არაერთ მოსწავლესთან. კლასში თითქმის ვერავინ ახერხებდა გააზრებულ კითხვას. ამის აღმოჩენა ჩემთვის ცოტა დამთრგუნველი იყო, თუმცა უკან არ დავიხიე და გადავწყვიტე შემდეგი ნაბიჯები გადამედგა. ეს იყო ამ პრობლემის დასაძლევად გამოყენებული კვლევის შემდეგი მეთოდი: ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან.

ფოკუს-ჯგუფის ანალიზი

დაკვირვების შემდგომ გადავწყვიტე მეპოვა აღნიშნულ პრობლემების გამომწვევი კიდევ რა მიზეზებთან მქონდა საქმე. ამიტომ გადავწყვიტე კლასის ხუთივე მოსწავლესთან ჩამეტარებინა ფოკუს-ჯგუფი. მოვაწყვეთ დისკუსია-საუბარი, სადაც გავესაუბრე მოსწავლეებს, თუმცა შევამჩნიე, რომ მოსწავლეები თავს იკავებდნენ პასუხებისგან, ამიტომ ავუხსენი რომ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა მოითხოვდა მათ დახამრებას, ვთხოვე დამხარებოდნენ და ვუთხარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ გავაგრძელებდი მუშაობას. ამან თითქოს გაახალისა ისინი, ამყვენენ საუბარში, უკვე ხალისით პასუხობდნენ კითხვებს და აფიქსირებდნენ საკუთარ აზრს. ფოკუს-ჯგუფის გამოკითხვის შედეგებიდან დადგინდა, რომ ჩემი მოსწავლეები ერთფეროვან გაკვეთილებს რუტინად მიიჩნევენ, არ მოსწონდათ სახელმძღვანელოს დიდი ტექსტები, უჩიოდნენ რესურსების სიმცირეს და მათთვის საინტერესო ლიტერატურის ნაკლებობას სკოლის ბიბლიოთეკაში. ერთფეროვანი საგაკვეთილო პროცესები უკარგავდათ მათ ინტერესს და აგდებდა მათ მოტივაციას. საუბრიდან გავიგე, რომ ყველაზე მეტად მოსწონთ დასურათებული წიგნების კითხვა, რადგან უფრო მარტივად იმახსოვრებენ. აქედან დასვნა გავაკეთე, რომ ჩემი მოსწავლეები მხედველობითი მეხსიერებით გამოირჩევიან, ანუ შეუძლიათ ილუსტრაციის დახმარებით ამოიცნონ ტექსტის შინაარსი. ამის აღმოჩენა ძალიან დამეხმარა შემდეგი ინტერვენციების დაგეგმვაში. ასევე გავარკვიე, რომ მოსწავლეთა ნაწილი სახლში ხშირად საჭიროებენ მშობელთა დახმარებას რთული ტექსტების გასააზრებლად.

კვლევის შემდგომ ეტაპზე დავგეგმე მოსწავლეთა და მშობელთა **ანონიმური ანკეტირება,** რომელიც დამეხმარა პრობლემის გადასაჭრელ ეფექტური გზების მოძებნაში.

მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

კითხვა N1





კითხვა N2

კითხვა N3



კითხვა N4



კითხ

ვა N5



კითხ

ვა N 6



კითხვა N 7



კითხვა N8





მოსწავლეთა განმეორებითი ანკეტირების ანალიზი:

მშობელთა ანკეტირების შედეგები:



ანკეტირების შედეგების ანალიზი

მიღებული მონაცემების ანალიზიდან დავადგინე შემდეგი, რომ ჩემი მოსწავლეების უმეტესობას მოსწონს ქართულის გაკვეთილი, თუმცა მათგან დიდი ნაწილი ისურვებდა ისეთ აქტივობებში ჩართვას, რაც სახალისო და საინტერესო იქნებოდა და ამავე დროს მათ ინტერესებზე მორგებული. მოსწავლეთა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ ნაკლებად კითულობდა და არც სარგებლობდნენ ამავე დროს სკოლის ბიბლიოთეკით. კითხვა დამღლელად მიაჩნდათ და თუ კითხულობდნენ, უფრო ფანტასტიკური ჟანრს. მოსწავლეთა გამოკითხვიდან გავიგე, რომ თავისუფალი დრო თითქმის არ აქვთ, რადგან ოჯახს ეხმარებიან. სახლში საკითხავ ლიტერატურას ნაკლებად კითხულობდნენ. წაკითხული ტექსტის გააზრებას მხოლოდ მაშინ ახდენდნენ, როცა ვინმესთან ერთად კითხულობდნენ. მშობელთა გამოკითხვიდან გავარკვიე, რომ მშობლებიც იმავე პრობლემაზე მიმანიშნებდნენ, რასაც მე ვაწყდებოდი კლასში. ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ტექსტების კითხვით. აღმოჩნდა, რომ მშობლებს არ უყვებიან წაკითხულის შესახებ, არც მშობლები ამოწმებენ თავიანთი შვილების ცოდნას, მათი თქმით, მათ შვილებს

მეტ-ნაკლებად უყვართ კითხვა და შემდეგ კი წაკითხულის შესახებ აზრის გადმოცემა.

მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი

კვლევის დროს დასახმარებლად მივმართე კოლეგებს, რომლებმაც არ დაიზარეს და აქტიურად ჩაებნენ ჩემი კვლევის პროცესში. დახმარებისთვის მივმართე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგებს და მოვიწვიე ინტერვიუზე, რის საფუძველზე დავადგინე, რომ მოსწავლეთა გაგება გააზრების უნარის განვითარებასთან დაკაშირებულ პრობლემას იწვევს წიგნიერების დაბალი დონე, მოსწავლეები არ კითხულობენ სისტემატურად. ჩემი კოლეგების აზრით, იმისათვის რომ, მოხდეს მოსწავლეთა გაგება-გააზრების ხარისხის გაუმჯობესება, აუცილებელია დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელიც გათვლილი იქნება ძირითადად იმაზე, თუ როგორ მოახდინონ მოსწავლეება წაკითხულის გაგება-გააზრება. კარგი იქნება თუ საკლასო გარემო შეიცვლება, ასევე მოსწავლე თავდაჯერებული უნდა გავხადოთ, რადგან მან იგრძნოს მხარდაჭერა და იმისი შიშით, რომ შეცდომა არ დავუშვაო, არ ჩაიკეტოს, ვასწავლოთ აზროვნება, რომელიც დღეს ასე სჭირდება ყველას. ჩემი კოლეგები თვლიან, რომ მშობელთა დახმარების გარეშე რთული იქნება რაიმე შედეგის მიღება.

დასკვნა: ვფიქრობ მონაცემთა შეგროვებისა და შემდეგ მისი ანალიზით ადვილად მოვახერხებ არსებული პრობლემის ყველა მხრიდან შეხედვას და ასევე მარტივად მის გადაჭრასაც.

თავი V ინტერვენციები

5.1 ქმედებების / ინტერვენციების დაგეგმვა

მონაცემთა ანალიზის გაკეთების შემდეგ, კვლევის მიგნებებიდან და ნაკლოვანებებიდან გამომდინარე დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები და განვა--ხორციელე:

ინტერვენცია I - სამუშაო შეხვედრა კოლეგებთან

აღწერა: გადავწყვიტე აღნიშნულ სკოლის მასწავლებლებთან მომეწყო საინფორმაციო შეხვედრა, რათა იდენტიფიცირებული პრობლემის გამომწვევი

სავარაუდო მიზეზები გამეცნო და მომესმინა მათი რეკომენდაციები, თუ როგორ და რა მიმართულებით გამეგრძელებინა შემდეგ კვლევა და რომელი ეფექტური სტრატეგიები გამომეყენებინა ინტერვენციების დროს. კოლეგებთან შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა. მათი რეკომენდაციები გამომადგა, კოლეგებმა მირჩიეს ჩამეტარებიან ერთობლივი კითხვის საათი, იდეა მომეწონა და დავთანხმდი, ასევე დავპირდი, როდესაც დავასრულებდი შედეგს აუცილებლად გავაცნობდი.

მიზანი: კოლეგების დახმარებით პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების ძიება. თანამშრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ინტერვენცია II - დიალოგი მოსწავლეებთან

იმისათვის, რომ დამეგეგმა კითხვის საათის აქტივობა, ამისათვის მოსწავლეებთან ჩავატარე დიალოგი, რათა მათი ინტერესები და არჩევანი გამეგო. მოსწავლეებთან საუბრის შემდეგ შევარჩიეთ ერთ-ერთი წიგნი, რომელსაც ეტაპობრივად წავიკითხადვით. ეს საუბარი ძალიან გულითადი და მეგობრული იყო. მივხვდი მოსწავლეები მენდობოდნენ. ეს უკვე დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ჩემთვის. წასაკითხად შევარჩიეთ ჯეიმს გრინვუდის - "პატარა მაწანწალა"

მიზანი: თანამშრომლობითი უნარის განვითარება, საკუთარი აზრის დაფიქსირების უნარის განვითარების ხელშეწყობა.

ინტერვენცია III - კითხვის საათი

კითხვის საათისთვის ავირჩიეთ მარტისა და აპრილის თვეების ყოველი პარასკევი. მოსწავლეები მონდომებით შედგნენ კითხვას, ვხედავდი თანდათან ძალიან გაიტაცათ კითხვამ. გზადაგზა ჩერდებოდნენ და კითხვებს მისვამდნენ. წიგნის კითხვა მათთვის უკვე დამღლელი აღარ იყო. როდესაც კითხვას ვასრულებდით, ვთხოვდი მოკლედ მოეთხროთ რა გაიგეს, რა მოეწონათ და რა არა. პერიოდულად ვაწყობდით დისკუსიას და ვმსჯელობდით მოთხრობის მთავარი გმირების საქციელზე. ზოგჯერ ამართლებდნენ, ზოგჯერ ამტყუნებდნენ პერსონაჟებს, რაც მთავარია საკუთარ დამოკიდებულებებს და ნააზრევს აფიქსირებდნენ. ქმნიდნენ პერსონაჟის რუკებს.

მიზანი: მოსწავლეებს განუვითარდებათ ხმამაღლა კითხვისა და ხმამაღლა ფიქრის უნარი. შეძლებენ წაკითხულის გააზრებას და საკუთარი დამოკიდებულებების დაფიქსირებას.

ინტერვენცია V - დაუსრულებელი მოთხრობა „სიკეთე ბოროტებისთვის“

მოსწავლეებს შევეკითხე წაკითხული ჰქონდათ თუ არა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „სიკეთე ბოროტებისთვის.“ უარყოფითი პასუხის შემდეგ, მოსწავლეებს ამობეჭდილი, დაუმთავრებელი მოთხრობა „სიკეთე ბოროტებისთვის“ დავურიგე და ვთხოვე, წაეკითხათ და დაესრულებინათ. მოსწავლეებმა დავალება ხალისით შეასრულეს. დიდმა ნაწილმა მოთხრობა ორიგინალურად დაასრულა. მოაწყვეს ნამუშევრების პრეზენტაცია, რომელსაც დიდი მონდომებით ახორციელებდნენ, ერთმნეთს ეჯიბრებოდნენ კიდეც, ვინ უფრო საინტერესო დასასრული მოიფიქრა. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს მივეცი პოზიტიური უკუკავშირი.

მიზანი: წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარის განვითარება.

5.2 ინტერვენციების ანალიზი

ინტერვენციების შეფასების ეტაპზე გამოიკვეთა დადებითი ფაქტორები, კერძოდ, კვლევაში ჩართული მოსწავლეების დამოკიდებულება კითხვისადმი პოზიტიურად შეიცვალა. მოსწავლეებში გაუმჯობესდა ტექსტის გაგება-გააზრების უნარი, ამაღლდა მოტივაცია. ჩემ მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევის დასრულების შემდეგ კვლევაში ჩართული მოსწავლეების მიდგომები შეიცვალა, ხოლო ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიები განუვითარდათ.

კვლევის განხორციელებისას, როდესაც მონაცემთა ანალიზი გავაკეთე და რეალური პრობლემები დავინახე, დავგეგმე ინტერვენციები (იხ. ზემოთ ჩამონათვალში) და განვახორციელე, ინტერვენციების ანალიზმა მაჩვენა, რომ დასახულ მიზანზე გავედი, მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა დაიწყო ტექსტების შინაარსობრივი კითხვა. მოსწავლეებმა შეასრულეს ყველა დავალება. კვლევის პროცესში და ასევე ინტერვენციების განხორციელებისას არ შემიწყვეტია მოსწავლეებზე დაკვირვება, მსურდა შემემოწმებინა, თუ რამდენად ეფექტური იყო ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები. დაკვირვების ეტაპზე პარალელურად ვახორციელებდი გაგება-გააზრების უნარების

განვითარებისკენ მიმართულ ინტერვენციებს და მისი შედეგების მონიტორინგს, ხოლო, ზოგადად, მთელ კლასზე ვახორციელებდი მონიტორინგს.

განხორციელებულმა ინტერვენციებმა შედეგი გამოიღო იმ მოსწავლეებთან, ვისაც ჰქონდა პრობლემები კითხვასთან და გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით და განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ, შედარებით ადვილად მოახდინეს დაუფლებოდნენ ტექსტიდან მთავარი აზრის გამოტანა და შემდეგ გააზრებულად შინაარსის ჩამოყალიბება.

სწორად შერჩეულმა ინტერვენციებმა ჩემს მოსწავლეებს განუვითარა კრიტიკული აზროვნებაც, მოემატათ მეტი პასუხისმგებლობა და აუმაღლდათ სწავლის მოტივაცია.

დაგეგმილმა ინტერვენციებმა დადებითი შედეგი გამოიღო. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარჩინებულ, ისე პრობლემის მქონე მოსწავლეები ხალისით და ინტერესით ასრულებდნენ შეთავაზებულ დავალებებს. ვიყენებდი წახალისების მეთოდებს, განმავითარებელი კომენტარების სახით, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მოსწავლეთა მოტივაციას დავალების შესრულების დროს.

ჩატარებული პრაქტიკული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემიძლია ვივარაუდო, რომ ინტერვენციების ფარგლებში მოსწავლეებისათვის შეთავაზებული აქტივობები იყო სახალისო და საინტერესო, ხოლო სამუშაო ტექსტები მათ ინტერესებზე მორგებული. სწავლების პროცესი იყო თანამშრომლობითი, თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული.

5.3 დასკვნა

ამრიგად,დავამუშავე სამაგისტრო თემა ,, **ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავ-შირებული სირთულები და მათი დაძლევის გზები დაწყებით საფეხურზე" ასევე, ჩემ მიერ** კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შერჩეული საკვლევი საკითხი სწორად შემირჩევია, მართლაც რომ აქტუალური და მნიშვნელოვანია მისი აღმოფხვრა.

კვლევის პროცესი ჩემთვის მარტივი არ ყოფილა, თუმცა კმაყოფილი ვარ, რადგან ვთვლი, რომ გავიზარდე პროფესიულად.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა შედეგები ტექსტის გაგება-გააზრების კუთხით გაიზარდა, მაინც მიმაჩნია, რომ დასახელებული პრობლემები მეტნაკლებად მაინც რჩება, ამიტომ ამ კუთხით მუშაობას კვლავ გავაგრძელებ, რაც ჩემს მოსწავლეებს შემდგომში აუცილებლად გამოადგებათ.

ვფიქრობ, კვლევა დავასრულე წარმატებით, მიზანს მივაღწიე, მზად ვარ ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

5.4 რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბე **რეკომენდაციები:**

- მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ისიც გასათვალისწინებელია რომ მოსწავლე თავად უნდა იყოს თავისი სწავლის დამგეგმავი და შემოქმედი.
- მნიშვნელოვანია პედაგოგებმა ერთმანეთს გაუზიარონ კვლევის შედეგები და ამით გააუმჯობესებენ საერთო ცოდნის ხარისხს.
- სასურველია სკოლის მხრიდან თვალსაჩინო და მრავალფეროვანი რესურსების უზრუნველყოფა მოსწავლეებში მოტივაციის გასაზრდელად.
- სასურველია მშობლების სათანადო ჩართულობა შვილების სასკოლო ცხოვრებაში, რადგან მშობელთა ნაკლები ჩართულობა მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე მოქმედებს, ყველა ერთად უნდა იდგეს ბავშვის ცოდნის სადარაჯოზე, სკოლაც და ოჯახიც.
- ტექსტის გაგება-გააზრების სწავლებისთვის აუცილებელია მოსწავლეთა პროგრესის რეგულარული ინდივიდუალური მონიტორინგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამოცდების ეროვნული ცენტრი, წიგნიერება . PIRLS 2006 წ..
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 58, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი, ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი
3. თ. კიღურაძე, ე. ქუთათელაძე- ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2013 წ.
4. ი. სამსონია - **წიგნიერება, თბილისი, 2013** წ.
5. კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი , 2010 წ.
6. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VIკლასები, 2015წ.
7. ნ. ჭუმბურიძე -სტრატეგიები, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისთვის 19 მარტი, 2019

8. ნ. ჭუმბურიძე - სტრატეგიები, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისთვის 19 მარტი, 2019 **http://mastsavlebeli.ge/?p=20897)**

9. პ. პაპავა, თ. ჭანტურია, წიგნიერება, თბილისი, 2012.

10. პ. პაპავა, თ. ჭანტურია, წიგნიერება, თბილისი, 2012.

11. პ. პაპავა, თ. ჭანტურია, წიგნიერება, თბილისი, 2012.

12. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ I-VI კლ. 2015წ. USAID G-PRIED

13. წიგნიერება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, PIRLS, 2011 წ.

14. http://mastsavlebeli.ge/?p=1866

15. **http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf**

16. http://ncp.ge/files/ESG/2016-2021/58%20muxli%20-%20qartuli%20ena%20da%20literatura%20-%20standarti.pdf

17. http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf-გაგება გააზრება

18. http://cdi.org.ge/uploads/pages/maswsamsonia-89.pdf -წიგნიერება

19. http://mastsavlebeli.ge/?p=1866 - ლექსიკური მარაგი

20. http://mastsavlebeli.ge/?p=1982 - მოტივაცია

21. http://mastsavlebeli.ge/?p=2300 - სასწავლო მოტივაცია

22. http://mastsavlebeli.ge/?p=2397 - მოტივაცია

23. http://mastsavlebeli.ge/?p=21798 - მოტივაცია

24. http://mastsavlebeli.ge/?p=2190 - კრიტიკული აზროვნება

25. http://mastsavlebeli.ge/?p=1550 - ზეპირმეტყველება

26. http://mastsavlebeli.ge/?p=11953 - ეფექტიანი სწავლება

დანართები

დანართი N1

მოსწავლეთა ანკეტირება

1. კითხვა შენთვის არის:

ა) სახალისო ბ) დამღლელი

2. რა სახის ტექსტის კითვა გიყვარს?

ა) მხატვრული ბ) საინფორმაციო გ) შემეცნებითი დ) ფანტასტიკა

3. რამ შეიძება გახადოს კითხვის პროცესი შენთვის მოსაწყენი?

ა) უინტერესო თემამ ბ) ტექსტის სიდიდემ გ) უცხო სიტყვების სიმრავლემ

4. რას აკეთებ თავისუფალ დროს?

ა) ვთამაშობ ბ) კომპიუტერთან ვზივარ გ) ვკითხულობ დ) ოჯახს ვეხმარები

5. კითხულობ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

6. ვის უყვები წაკითხულის შესახებ?

ა) მშობლებს ბ) მასწავლებლებს გ) მეგობრებს დ) არავის

7. როდის უფრო კარგად იაზრებ?

ა) როცა ვკითხულობ ბ) როცა მასწავლებელი კითხულობს გ) როცა ვინმესთან ერთად ვკითულობ

8. როცა ტექსტს ვერ იგებ, როგორ იქცევი?

ა) ხელმეორედ ვკითხულობ ბ) ვანებებ თავს გ) ვთხოვ მშობლებს ან დას დახმარებას

დანართი N2

მოსწავლეთა განმეორებითი ანკეტირება

1. გაქვს თუ არა თავისუფალი დრო?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

2. დამოუკიდებლად ირჩევ წასაკით წიგნს?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

3. მოგწონს კითხვა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

4. გიყვარს თუ არა წაკითხულ წიგნზე საუბარი?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

5. აქტიურობ თუ არა ქართული ენის გაკვეთილზე?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

6. გიადვილდება თუ არა ქართული ენის სახელმძღვანელოს ტექსტებზე მუშაობა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. შეგიძია თ არა შენი ინტერპრეტაციით გადმოსცე შინაარსი?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

დანართი N3

მშობელთა ანკეტირება

1. ამოწნებთ თუ არა თქვენი შვილის სწავლის პროცესს?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

2. გიყვებათ თუ არა თქვენი შვილი წაკითხულის შინაარს?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

3. ურჩევთ თუ არა თქვენს შვილს რომელი წიგნი წაიკითხოს?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

4. კითხულობს თქვენი შვილი კლასგარეშე ლიტერატურას?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

5. იყენებს თუ არა სკოლის ბიბლიოთეკას?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

6. ინფორმაციის მისაღებად თუ იყენებს კომპიუტერს?

ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

დანართი N4

მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფის კითხვები

1. რა დამოკიდებულება გაქვთ წიგნის კითხვასთან დაკავშირებით?
2. ტექსტის კითხვის დროს რა სირთულეს აწყდებით, როგორ ფიქრობთ რა არის ამის მიზეზი?
3. დაასახელე შენი საყვარელი წიგნი ან მოთხრობა? რას ეხებოდა იგი?
4. შეაფასე შენი თავი: როგორი მკითველი ხარ?

დანართი N5

მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს კითხვები

1. უყვართ თუ არა მოსწავლეებს თქვენი საგანი?

2. როგორი მკითხველები არიან თქვენი მოსწავლეები?

3. თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელი მეთოდი მოქმედებს უფრო ეფექტურად მოსწავლეებს რომ გავუზარდოთ გაგება-გააზრების უნარი?

4. რა სიხშირით იყენებთ ტექსტის კითხვის სტრატეგიებს?

5. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს გაგება-გააზრების უნარების განვითარებას მოსწავლეებში?

6. თქვენ როგორ აგვარებთ გაგება-გააზრების უნარებთან დაკავშირებულ პრობლემებს თქვენს მოსწავლეებთან?

მადლობა თანამშრომლობისათვის!